# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 12 მაისი. 2016 წ. №86 (7978), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


# ეს გზა არის დასავლეთთან თანამშრომლობის უალტერნატივო გზა!

„ღირსეული პარტნიორი 2016“








**ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე გამართული სწავლება ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნების შესრულებით გაიხსნა.** მოწვეულმა სტუმრებმა და წვრთნებში მონაწილე სამხედროებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საბრძოლო მოქმედებებსა და საერთაშორისო მისიებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნას. ღონისძიებაზე გაიმართა საჩვენებელი სწავლება.

**„ქართულ-ამერიკულ-ბრიტანული სამხედრო სწავლება არის ძალიან მნიშვნელოვანი. მას გააჩნია უდიდესი დატვირთვა, პირველ რიგში, საქართველოს სამხედრო შენაერთების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების კუთხით. მას ასევე აქვს მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა, რაც მდგომარეობს შემდეგში, რომ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და უსაფრთხოება საქართველოში, საქართველოს მოქალაქეების მშვიდი ცხოვრება გადის ერთადერთ გზაზე და ეს გზა არის თანამშრომლობა დასავლეთთან, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან და ამას ალტერნატივა არ გააჩნია,“** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ღონისძიების დასრულების შემდეგ.

„ღირსეული პარტნიორი 2016“-ის გახსნის ოფიციალურ ცერემონიას დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.


თემის გაგრძელება იხ. 2 გვ.


## მიშიკოელებმა საკუთარი თავი ამოიჭამეს...


④






ფრიდონ თოდუას კლინიკა 25 წლისაა


⑤


## თბილისმა რადიოლოგთა საერთაშორისო კონგრესს უმასპინძლა

## „HANDELSBLATT“ (გერმანია): ამ ფონზე საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღება შეუძლებელია


②


## ცენტრ-პოინტისგან დაზარალებულები აქციებს არ შეწყვეტენ

**მთავრობის ადმინისტრაციასთან სამშენებლო კომპანია ცენტრ-პოინტისგან დაზარალებული მოსახლეობის აქცია გაიმართა. დაზარალებულებმა პრემიერ-მინისტრს საკითხით დაინტერესებისკენ მოუწოდეს.** აქციის მონაწილეებმა მთავარ პროკურორსაც მიმართეს და ირაკლი შოთაძე უმოქმედობაში დაადანაშაულეს.

**„როგორ შეიძლება კომპანიას 6 200 დაზარალებული ჰყავდეს და ისინი თავისუფლები იყვნენ. მაშინ ხელისუფლებამ აიღოს საკუთარ თავზე დაზარალებულების ბინით დაკმაყოფილების საკითხი,“** — აღნიშნა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

ცენტრ-პოინტისგან დაზარალებული მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე აქციების გაგრძელებას აპირებენ.

ეს ჩვენი ისტორიაა




## სიმართლე კრწანისის ბრძოლისა


⑦


ხვალ 13 მაისია

## მართლაც მარადიული თარიღი


⑩




**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!**

# ნატო — ჩვენში, ჩვენ — ნატოში...



**საქართველოს პრეზიდენტმა ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე ქართულ-ამერიკული სწავლების ოფიციალურ გახსნაზე სამხედროებს სიტყვით მიმართა:**

„ბატონო პრემიერ-მინისტრო, ქალბატონო თავდაცვის მინისტრო, ბატონო გენერალური შტაბის ხელმძღვანელო, კაპრალებო, სერჟანტებო, ოფიცრებო, გენერლებო, პატივცემულო საზოგადოებავ, დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებო მინდა, მოგილოცოთ დღევანდელი დღე „ღირსეული პრტნიორობის“ სწავლების დაწყება. დღეს ერთმანეთის გვერდით დგანან ჯარისკაცები, რომლებმაც თავისი ღირსებით, შემართებით, ბრძოლისუნარიანობით ასახელეს თავისი სამშობლო, სხვადასხვა საბრძოლო ოპერაციის დროს, ესენი არიან ქართველი, აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს ჯარისკაცები. დღეს ეს ადამიანები სწორედაც რომ ღირსეული პარტნიორობის, ღირსეული თანამებრძოლების სახით დგანან ქართულ მიწაზე.

ჩვენ ვთქვით, რომ მეტი საქართველო იქნება ნატოში და მეტი ნატო — საქართველოში. ამას ჩვენ ვახორციელებთ, როგორც საერთაშორისო მისიებში, უკვე ჩვენს მშობლიურ ტერიტორიაზე. საქართველო აუცილებლად გახდება ნატო-ს წევრი, რადგან ამისთვის არაერთმა ქართველმა ჯარისკაცმა, არაერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა, ისევე როგორც მთელმა ქართულმა საზოგადოებამ ძალიან მტკიცე, მამაცი და თამამი ნაბიჯები გადადგა. გახდება იმიტომ, რომ ჩვენ ერთად ვდგავართ ჩვენს მოკავშირეებთან ერთად, გახდება იმიტომ, რომ ასე არის საჭირო, უფრო სტაბილური, უფრო მშვიდი, უფრო პერსპექტივაზე ორიენტირებული მსოფლიოსათვის. კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღეს და გისურვებთ წარმატებას. ღმერთი ფარავდეს მთელს საქართველოს“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

⦿ სხვა გაზეთებიდან

# „HANDELSBLATT“ (გერმანია): ამ ფონზე საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღება შეუძლებელია

**გერმანულ** გამოცემა „Handelsblatt“**-ს მიერ ანდრე ბალინის ავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულია რუსეთის საგარეო პოლიტიკა და სამხედრო მიზნები მეზობელ სახელმწიფოებთან — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი უკრაინასა და საქართველოსთან, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაპირისპირების კონტექსტში. მასალაში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, რუსეთის სამხედრო ბიუჯეტი განუხრელად იზრდება.**

**გთავაზობთ ამონარიდს პუბლიკაციიდან:**

რუსეთი პერმანენტულად უპირისპირდება საქართველოსაც. ამ ორიოდე დღის წინათ ქართულ-ამერიკულმა ერთობლივმა სამხედრო მანევრებმა (კოდური სახელწოდებით „ღირსეული პარტნიორობა“) მოსკოვისა და თბილისის სიტყვიერი შეხლა-შემოხლა გამოიწვია: რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს სამხედრო წვრთნები „პროვოკაციად“ ჩათვალა, ამის საპასუხოდ კი პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა ხაზგასმით და დემონსტრაციულად გადაუხადა მადლობა ევროპულ სახელმწიფოებს იმ დიპლომატიური დახმარებისათვის, რაც მათ საქართველოს 2008 წლის აგვისტოს „ხუთდღიანი ომის“ დროს აღმოუჩინეს — **„როცა საქართველოს ტერიტორიას სხვა სახელმწიფოს თვითმფრინავები ბომბავდნენ“.**

რასაკვირველია, ასეთი კონფრონტაციის ფონზე საქართველოსა და მით უმეტეს, უკრაინის მიღებას ნატოში, ალიანსისაკენ მათი ლტოლვის მიუხედავად, არ უნდა ველოდოთ.

ამის მიუხედავად, ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ბლოკი უკვე გარკვეულ სამხედრო მზადყოფნას ამჟღავნებს. როგორც პენტაგონის შეფმა ეშტონ კარტერმა განაცხადა, ნატოს ოთხი ბატალიონი, დაახლოებით ოთხი ათასამდე სამხედრო მოსამსახურით, აღმოსავლეთ ევროპაში, რუსეთის დასავლეთ საზღვართან განლაგდება. მასში გერმანიის ბუნდესვერიც იქნება ჩართული. ვაშინგტონი ფიქრობს, რომ აღმოსავლეთ ევროპაში კიდევ ერთი ჯავშანბრიგადა გადაისროლოს. ალბათ, ეს საკითხი ნატოს ვარშავის სამიტზე იქნება განხილული.

თავის მხრივ, გამალებულ შეიარაღებაში რუსეთიც ჩაება: მოსკოვმა დაიწყო საარმიო ქვედანაყოფების გადანაწილება კონკრეტული მიმართულებით - დასავლეთისა და სამხრეთის სამხედრო ოლქების პირადი შემადგენლობის რაოდენობა დაახლოებით 20 ათასი სამხედრო მოსამსახურით გაიზრდება. მწვავე ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, რუსეთი თავისი ბიუჯეტის 20 პროცენტს სამხედრო ხარჯებისთვის იყენებს...

ასეთ მძიმე ფონზე მაინც ჩანს იმედი, რომ კონფრონტაციის სპირალის უსასრულოდ გაგრძელება არც ერთ მხარეს არ სურს. ამის დამადასტურებელია ამას წინათ ნატო-რუსეთის საბჭოს მუშაობის დაწყება ორწლიანი პაუზის შემდეგ. მართალია, ამ ორგანოს მაინცდამაინც დიდი გავლენა არა აქვს, მაგრამ დიალოგის განახლება მაინც იმის ნიშნად უნდა ჩავთვალოთ, რომ მხარეები სიტუაციას სერიოზულად აფასებენ.




## ორივეს თავების „წასლეკვით“ დაემუქრა

**„მე მინდა, მივმართო შინაგან საქმეთა მინისტრსა და მთავარ პროკურორს, ნუ მაიძულებთ, რომ ორივე გადაგაყენოთ თანამდებობიდან,“ — ასე მიმართა გადაცემა არჩევანში ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა ზაზა ხატიაშვილმა ხელისუფლების წევრებს.**



**ხატიაშვილი ადვოკატებზე არსებულ ზეწოლის ფაქტებს აპროტესტებს და ერთ-ერთი მათგანი მაგალითად მოყავს. კერძოდ, 5 მაისს ქალაქ ქუთაისში პოლიციის მხრიდან ადვოკატ ავთანდილ ბუცხრიკიძის სახლის დაცხრილვის ფაქტი, რისთვისაც მისი თქმით, არავინ დასჯილა.**

**„გაძლევთ ორ კვირას, მოდით ორივე გონზე, თორემ მე თუ დავიწყე, ორივეს თავებს გავაგორებ,“ — ამბობს ზაზა ხატიაშვილი.**

## ნიკოლას ბერლინერი: ქართველი, ბრიტანელი და ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები გვერდიგვერდ დგანან



**„ვისაც სურს, გაიგოს, როგორ გამოიყურება პარტნიორობა, თქვენ მას ხედავთ — 1200-მდე ქართველი, ბრიტანელი და ამერიკელი სამხედრო მოსამსაუხრე გვერდიგვერდ დგანან, როგორც თანამებრძოლები.** ეს გვაჩვენებს სამმაგ ზრდას. დღეს ვხედავთ M12, „აბრამსის“ ტანკების მონაწილეობას, რომლებიც ბულგარეთიდან ზღვით გადმოზიდა, რათა მონაწილეობა მიეღო ამ წვრთნებში. პირველად მოხდა, რომ „აბრამსის“ ტანკები მონაწილეობენ საქართველოში გამართულ სწავლებაში“, — განაცხადა ნიკოლას ბერლინერმა და დასძინა, — „ნატოს პარტნიორები და მოკავშირეები თავის პასუხისმგებლობას სერიოზულად უდგებიან. ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ იმ როლს, რომელსაც საქართველო კვალდაკვლავ მიყვება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების საქმეში. დღევანდელ სწავლებას შემთხვევით არ დაერქვა ეს სახელი, რადგან საქართველო ღირსეული პარტნიორი გახლავთ. ორი კვირის განმავლობაში თავს მოვიყრით ერთად, რათა აღვნიშნოთ საქართველოს 25 წლის დამოუკიდებლობის იუბილე“.

## ეკა ზღულაძე თანამდებობას ტოვებს

**უკრაინული მედიის ცნობით, უკრაინის შს მინისტრის პირველი მოადგილე ეკა ზღულაძე თანამდებობას ტოვებს, რასაც მინისტრი არსენ ავაკოვიც ადასტურებს — „ეკა პირველი მოადგილის თანამდებობას ტოვებს. მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვეტილება მისი თხოვნით მიიღო. ეკა გააკეთებს განცხადებას, არ არის საჭირო ჭორები“, — წერს ავაკოვი ფეისბუქზე. ავაკოვის განცხადებით, ზღულაძე მუშაობას შსს-ს რეფორმების საკითხებში მრჩეველთა ჯგუფის ხელმძღვანელად გააგრძელებს. ეკა ზღულაძე უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ 2014 წლის დეკემბერში დაინიშნა.**



# ხელისუფლებას არც ერთი სტრატეგიული გადაწყვეტილება არ შეუყოვნებია!

**ვილაცებს ავტორიტარიზმი და გადაწყვეტილების მიღების უნარი ერთმანეთში ერევათ, — ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ზოგი პოლიტიკოსის მხრიდან მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს. ჟურნალისტებთან საუბრისას მან აბსურდული უწოდა განცხადებებს იმის შესახებ, თითქოს პრემიერ-მინისტრს გადაწყვეტილების მიღების უნარი არა აქვს. მისი თქმით, საქართველოს მთავრობამ ყველა სტრატეგიული გადაწყვეტილება შეუფერხებლად მიიღო.**

„აბსოლუტურად უაზროა ბრალდებები გადაწყვეტილების მიღების უნართან დაკავშირებით. საქართველოს ხელისუფლებას არც ერთი სტრატეგიული გადაწყვეტილება არ შეუყოვნებია და ამის ცხადი მაგალითი არის დღევანდელი დღე. საქართველო ვითარდება ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზით“, — განმარტა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველომ გაიარა მნიშვნელოვანი პერიოდი, განამტკიცა დემოკრატიული ინსტიტუტები და არასდროს გადაუხვევია სტრატეგიული კურსისგან, რომელსაც თანამიმდევრულად მიჰყვება. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს უსაფრთხოება და საქართველოს მოქალაქეების მშვიდი ძილი გადის ერთადერთ გზაზე — ეს არის თანამშრომლობა დასავლელ პარტნიორებთან.

„ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ დღეს გვაქვს სრულიად სხვა წინასაარჩევნო გარემო. ამ



გარდამავალ პერიოდში სხვადასხვა განცხადება, რომლებიც გენერალურ ხაზს და სტრატეგიულ ხაზს არის აცილებული, ჩვეულებრივი მოვლენაა. მთავარი არის ის, თუ როგორი იქნება საქართველოს განვითარების ვექტორი და ამ კუთხით საქართველოში შეკითხვები არ არსებობს. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პოლიტიკური გუნდი, რომელიც ქვეყანას მართავს, არ არის მუდმივი ორგანიზმი, ეს არის განახლებადი ორგანიზმი და განახლების პროცესში ვიმყოფებით ჩვენ. ამიტომ ყველანაირი ვაი-ვიში, რომელიც არის ატეხილი ამ საკითხთან დაკავშირებით, არის უადგილო, ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის პოლიტიკურად დამკვიდრების მცდელობას და აზიანებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს. მე მოვუწოდებდი ყველა იმ ადამიანს, ვინც აბსოლუტურად უაზრო კორიანტელი ატეხა ამ საკითხის გარშემო, შეხედოს ქვეყნის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, შეხედოს იმ სტრატეგიულ კურსს, რომელსაც ქვეყანა თანამიმდევრულად მიყვება და ამ საკითხში არანაირი გადახვევა არ არსებობს“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

## გიორგი კვირიკაშვილი: რა თქმა უნდა, ცვლილებები გამორიცხული არ არის

საქართველოს პრემიერ-მინისტრი სამთავრობო ცვლილებებს არ გამორიცხავს-სამთავრობო ცვლილებები უახლოეს მომავალში არ იგეგმება, თუმცა ჩვენ შევდივართ წინასაარჩევნო პერიოდში და, რა თქმა უნდა, ცვლილებები გამორიცხული არ არის, — გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მინისტრთა კაბინეტში ხელმძღვანელი არის პრემიერ-მინისტრი, რომელსაც აქვს სრული უფლება კაბინეტის ამა თუ იმ წევრს მიუთითოს ამა თუ იმ განცხადების თაობაზე.

„კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ატეხილია აბსოლუტურად უაზრო ალიაქოთი. ეს უადგილო განცხადებები აზრს მოკლებულია. მე არ გამიკვირდებოდა ასეთი განცხადებები პოლიტიკური ლიდერებისგან, ჩვენი ოპონენტი პარტიების წევრებისგან, მაგრამ მინისტრთა კაბინეტის წევრებისგან ეს განცხადებები არის მიუღებელი. პრემიერ-მინისტრი აბსოლუტურად აკონტროლებს სიტუაციას“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

## ორი ქვეყნის ქალოვან მინისტრთა შეხვედრა

**სტოკჰოლმში** სამუშაო ვიზიტით მყოფი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი შვედ კოლეგას ანდერს იგემანს შეხვდა. ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

გიორგი მღებრიშვილმა ანდერს იგემანს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები გააცნო, მათ შორის, ანალიზზე დაფუძნებული პოლიციისა და დნმ-ის ბანკის შექმნა, ასევე, ევროპოლთან თანამშრომლობის გაღრმავება. ორი ქვეყნის შს მინისტრებმა განსაკუთრებული ყურადღება კრიმინალისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის მნიშვნელობაზე გაამახვილეს. როგორც ანდერს იგემანმა აღნიშნა, იგი მიესალმება საქართველოს შს სამინისტროსთან ინტენსიური ურთიერთობის განვითარებას. თავის მხრივ, გიორგი მღებრიშვილმა ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის არსებულ მჭიდრო საპოლიციო თანამშრომლობაზე. მისი თქმით, ევროკავშირის 28 ქვეყნიდან 15 ქვეყანასთან საქართველოს უკვე აქვს დადებული ხელშეკრულება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ.

**◎ რესპუბლიკელები ყელყელაობენ**

# საქმე ლამის შეხლა-შემოხლამდე მივიდა

**რესპუბლიკური** პარტიის ლიდერები სამთავრობო პოსტებს დატოვებენ. როდის? — ჯერ უცნობია, თუმცა, ეს ნაბიჯი გარდაუვალია. ყველაზე საინტერესო ახლა მხოლოდ ზუსტი თარიღის დასახელებაა. ფაქტია, რომ გასულმა ერთმა კვირამ ცხადი გახადა რესპუბლიკელთა არცთუ გამართლებული პოლიტიკური სვლა. იყო ხელისუფლებაში, მმართველ გუნდში, პასუხისმგებლობა გეკისრებოდეს გადაწყვეტილების შედეგებზე, მაგრამ ამავდროულად იყო მმართველი გუნდის ოპოზიცია, წარმოუდგენელია. ეს თამაში არათუ ქართულ, არამედ მაღალგანვითარებული ქვეყნის ნებისმიერ პოლიტიკურ სპექტრს გაუჭირდებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა!!!



უფლებადამცველმა **ნიკოლოზ მჟავანაძემ** სოციალურ ქსელში ინფორმაცია გაავრცელა :**„როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, გუშინ დავით უსუფაშვილსა და ძმებ ბერძენიშვილებს შორის სერიოზული დაპირისპირება მოხდა. ბერძენიშვილები უსუფაშვილისგან ითხოვდნენ დემარშით დაეტოვებინათ მინისტრის პორტფელები რესპუბლიკური პარტიის წევრებს. საქმე ლამის ფიზიკურ შეხლა-შემოხლამდე მივიდა. შესაძლოა, უახლოეს პერიოდში დავით უსუფაშვილმა დატოვოს პარტია და მომავალ არჩევნებში „ქართული ოცნების“ რიგებში ვიხილოთ. უსუფაშვილმა კარგად იცის, რომ რესპუბლიკური პარტია მომავალ პარლამენტში ვერ მოხვდება“, —** წერს მჟავანაძე.

თამაზ მეჭიაურის მიერ რესპუბლიკელების წინააღმდეგ დაწყებული ახალი კამპანია, სავარაუდოდ, სამი მინისტრის გადადგომით დასრულდება. არაოფიციალური ინფორმაციით, თინა ხიდაშელი, გიგლა აგულაშვილი და პაატა ზაქარეიშვილი რამდენიმე დღეში მინისტრების პოსტებს დატოვებენ.

**სავარაუდოდ, ეს ქართულ-ამერიკული ერთობლივი წვრთნების „Noble Partner 2016-ის“დასრულების შემდეგ მოხდება. გავრცელებული ინფორმაციით, მინისტრებთან ერთად თანამდებობას დატოვებენ პარლამენტის თავმჯდომარე და საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეები. „პირველ რადიოს“ „ქართული ოცნების“ კულუარებში არაოფიციალურად ამ ინფორმაციას უდასტურებენ. დეპუტატები პირად საუბრებში აცხადებენ, რომ პრემიერ-მინისტრის ბოლო განცხადება პაატა ზაქარეიშვილთან დაკავშირებით ფაქტობრივად მინიშნება იყო იმაზე, რომ რესპუბლიკური პარტიის ლიდერები სახელისუფლებო პოსტებს დატოვებენ.**

**თეა მოსია**

## ბერძენიშვილი პრეზიდენტს კორექტულობისკენ მოუწოდებს

**რესპუბლიკელებთან** დაკავშირებით პრეზიდენტის განცხადებას უაღრესად არაკორექტულს უწოდებს ლევან ბერძენიშვილი და აცხადებს, რომ სწორედ რესპუბლიკური პარტია იცავდა პრეზიდენტის ინსტიტუტს. „თუ ვინმე პრეზიდენტის გვერდით იდგა და ცდილობდა, რომ არ გარიყულიყო ქართული პოლიტიკიდან, ეს დავით უსუფაშვილი იყო. მისი განცხადებები უბრალოდ, ადამიანურად არასწორია, მაგრამ ასე თქვა და რა ვქნათ, ეს მის ნამუსზე იყოს“, — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა. ლევან ბერძენიშვილი ასევე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტმა წინასაარჩევნო კამპანიის თარიღთან დაკავშირებით არაგონივრული გადაწყვეტილება მიიღო.

სამწუხაროდ, წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას. თუმცა არა მგონია, ეს გონივრული იყოს. პრეზიდენტმა თავიდანვე დაუშვა შეცდომა და აღმოჩნდა საკუთარი შეცდომის მძევალი, თუმცა პრემიერ-მინისტრმა სცადა მდგომარეობის გამოსწორება.

## ლატვიაში საქართველოს საელჩოში ევროპის დღე აღინიშნა



**ევროპის** დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ლატვიაში ევროკომისიის წარმომადგენლობის ინიციატივით და ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით, ლატვიაში საქართველოს საელჩომ ღია კარის დღე გამართა.

საქართველოს საელჩომ 45-მდე სტუმარს უმასპინძლა, მათ შორის იყვნენ ლატვიის საჯარო სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, გაცვლით პროგრამებში მონაწილე ახალგაზრდები. მიწვეული სტუმრებისთვის საელჩომ პრეზენტაცია გამართა საქართველოს ისტორიის, ქართულ კულტურისა და საინტერესო ფაქტების შესახებ. შეხვედრაზე ლატვიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა თეიმურაზ ჯანჯალიამ ისაუბრა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესზე. შეხვედრის დასასრულ სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ საქართველოს შესახებ საინფორმაციო მასალა.

## ეკა მიშველაძე პრეზიდენტის პრესსპიკერად დაინიშნა




**საქართველოს** პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის პრესსპიკერად „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ყოფილი ჟურნალისტი ეკა მიშველაძე დაინიშნა.

ეკა მიშველაძე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა წარადგინა. როგორც ეკა მიშველაძემ წარდგენისას აღნიშნა, მას იმედი აქვს, რომ ჟურნალისტებთან მჭიდრო და ახლო ურთიერთობა ექნება.

## დუბლინელები საქართველოს ეცნობიან

**საქართველოს** დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ირლანდიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, დუბლინის მერიის ისტორიულ შენობაში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს შესახებ ფოტოგამოფენა სახელწოდებით „Welcome to Georgia“.

გამოფენის გახსნაზე მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ირლანდიაში საქართველოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა გიორგი ზურაბაშვილმა და დუბლინის ლორდ-მერის მოადგილემ გაი ფაგანმა. ღონისძიებაზე ქართული ხალხური სიმღერები შეასრულა დუბლინში მოქმედმა ბავშვთა სიმღერის ანსამბლმა „Mixed Melodies“. ფოტოგამოფენის გახსნას ესწრებოდნენ ირლანდიის მთავრობის, ბიზნესისა და მედიის, ასევე, ქართული დიასპორისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ფოტოგამოფენა ირლანდიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებითა და დუბლინის ქალაქის საბჭოს მხარდაჭერით მიმდინარეობს და მასზე წარმოდგენილია საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების, უნიკალური კულტურის, არქიტექტურის, სხვადასხვა ქალაქებისა და ღირსშესანიშნაობების ამსახველი ფოტოსურათები.გამოფენის მთავარ მიზანს ირლანდიაში საქართველოს წარმოჩენა და ირლანდიელი ვიზიტორების საქართველოს ტურისტული შესაძლებლობებით დაინტერესება წარმოდგენს.

## ურეკის სანაპირო ზოლი ახალი სპეცტექნიკით დასუფთავდება



**ურეკი-შეკვეთილის** 14-კილომეტრიან სანაპირო ზოლს 3 ახალი თანამედროვე ნაგავმზიდი მოემსახურება. ახალი სპეცტექნიკა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ ერთად დაათვალიერეს და გამოსცადეს. სპეცტექნიკის გამოყენებით, ქვიშის პლაჟზე, 20 სანტიმეტრის სიღრმიდან მყარი ნარჩენების ამოღებაა შესაძლებელი. ნაგავმზიდებით სანაპირო ზოლი კვირაში რამდენჯერმე დასუფთავდება.

## ურეგისტრაციოდ მცხოვრებ პირებს დასუფთავების მოსაკრებელი დაერიცხება

**შპს** „თბილსერვის ჯგუფის“ განცხადებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ინიციატივით, „თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში“ ცვლილება შევიდა.

სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის მიხედვით, თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ფიქსირებულია საცხოვრებელი სახლები, ბინები, სადაც ფიზიკური პირები ცხოვრობენ რეგისტრაციის გარეშე. მოქალაქეებს საკუთრებაში აქვთ ორი ან მეტი ბინა, სახლი, რომელიც აქვთ გაქირავებული, დაგირავებული ან დროებით აცხოვრებენ სხვას, მაგრამ იმის გამო, რომ ამ კონკრეტულ მისამართებზე, სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის მიხედვით რეგისტრაცია არ აქვთ გავლილი, არც ერთ ფიზიკურ პირს დასუფთავების მოსაკრებელი არ ერიცხება — შესაბამისად, არ არიან დასუფთავების მოსაკრებელის გადამხდელები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ისეთ საცხოვრებელ ბინებს, სახლებს, რომელთაც არ ერიცხებათ დასუფთავების მოსაკრებელი და დასტურდება ფიზიკური პირის ცხოვრების ფაქტი, დაერიცხებათ დასუფთავების მოსაკრებელი, როგორც ერთ სულ მოსახლეს თვეში — 2,5 ლარის ოდენობით.

# მიშიკოელებმა საკუთარი თავი ამოიჭამეს...

**ხელისუფლებაში როცა „ოცნება“ მოდიოდა, უნდა გვეგულთმისნა, რომ შეგვიყოლიებდა, ოცნებ-ოცნებით მთელ დუნიას შემოგვატარებდა და ბოლოს ისევ ოცნების ამარა დაგვტოვებდა. არა უშავს, როგორც იტყვიან, ოცნებას კაცი არ მოუკლავს. არც ჩვენ დავიხოცებით, მით უფრო, რომ ქოცების წყალობით ინსულტს გადარჩენილი საქართველოს მაოხრებელი ნაცები კაცურ სიტყვას იძლევიან, წლეულს ოქტომბერში ამ უტვინო, უქნარა და უსაქმურ მთავრობას ჩვენებურად დავცოცხავთ, მთავრობაში უკანვე მოვბრუნდებით და რაც იმ 9 წელიწადში დაგაკელით, ახლა მოგითავებთო.**

მოდი და ნუ დაუჯერებთ! მე თქვენ გეტყვით, პირის გატეხვა სჩვევიათ, საქმე არ უყვართ თუ ლაპარაკი ეშლებათ? როცა სჭირდებათ, ენასაც ისე დაითაფლავენ ხოლმე, მამა აბრამის ბატკნები გეგონებათ. ამ ორიოდე დღის წინათ, მათი ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე, ტელეეკრანიდან ისე ილოცებოდა, იფიქრებდით, ვინმე წმინდანი მოევლინაო ერს მანათობლად. ბოროტება ავკაცობა უნდა დავგმოთ, ამბობდა, მხოლოდ სიკეთის ქმნა, ურთიერთსიყვარული და ურთიერთპატივისცემა გადაგვარჩენსო. ჰოდა, ეს ჩვენი გადამრჩენელი, თავად სინდის-ნამუსისგან განდგომილი და ჩვენი გამნადგურებელი, ისე ნერვშეუტოკებლად და თვალდაუხამხამებლად გველაპარაკებოდა, თითქოს აფრასიძეების ოჯახი სვანეთში მას და სააკაშვილს (ბრძანება მე გავეციო, გვეტრაბახებოდა მაშინდელი პრეზიდენტი) კი არა, ვინმე მომხდურს გაეწყვიტოს.

ამ არაკაცობას, რა თქმა უნდა, მარტო ბარამიძე-სააკაშვილის კაცთმოყვარეობით ვერ ავხსნით. სინდის-ნამუსის მხრივ ნაცები რომ მუდმივ დიეტაზე სხედან ეს შეიძლება ჩვენს ევროპელ და ამერიკელ სტრატეგიულ პარტნიორებს მოეჩვენოთ უცხო ხილად, თორემ საქართველოში მის მწარე ნაყოფს კარგა ხანია აგემოვნებენ. სხვათა შორის, თავის დროზე, ჯერ კიდევ ჰიტლერი აპირებდა კაცობრიობის სინდისისგან გათავისუფლებას, მიაჩნდა, რომ სინდისი და განათლება ხელს უშლიდა ადამიანებს კეთილდღეობის მიღწევისთვის ბრძოლაში. მისასალმებელია, რომ ჩვენებურმა მიშნაცებმა ფიურერის დაუხმარებლადაც იოლად შეძლეს სინდის-ნამუსის მარწუხებისგან გათავისუფლება (!).

ამ წარმატებას, რამაც ნაცებმა უნამუსობის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში მიაღწიეს, ნამდვილად ვერ დავუკარგავთ, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ჰიტლერისგან მემკვიდრეობით მიღებულ ნეოფაშისტურ თეორიებს სანაგვეში გადაუძახეს. ამის თქმის უფლებას იძლევა ოდესაში გაგუბერნატორებული ქართველი ფიურერის — სააკაშვილის წარამარა ნასროლი სიტყვები: **„ჩემი ბრძოლა“,** რომელიც არცთუ შემთხვევით გვახსენებს სისხლით გაუმაძღარი ჰიტლერის წიგნს —**„ჩემი ბრძოლა“**. ვფიქრობ, დღემდე არ დავიწყებია, ხალხს უკრაინაში გაკეთებული ფარული ჩანაწერები, სადაც **სააკაშვილი თავის ნარჩენებს მოუწოდებდა „რუსთავი-2“-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ბარიკადების აგების, შესაძლო სისხლისღვრისა და სიტყვის თავისუფლებისათვის ბრძოლის საჭიროებაზე.** ეს აზრი მან გაიმეორა ამ დღეებშიც, როცა ქვეყნისთვის წამებული რაინდი სკაიპით ჩაერთო იმავე „ცრუსთავი-2“-ის სათოქშოუ გადაცემაში:

**— თავისუფლებას უნდა დაცვა და თავისუფლებისთვის არის ბრძოლა საჭირო. თუ გინდათ ყველაფრის ჩაბარება უბრძოლველად, ჩააბარეთ, მაგრამ მაშინ მომავალი არ გვექნება. თავისუფლებას უნდა ბრძოლა, როცა გართმევენ თავისუფლებას, მომავალს, როდესაც თქვენს შვილებს არა აქვთ პერსპექტივა, როცა ქვეყანას ართმევენ!** — გაჰკიოდა ეთერში პირაქაფებული ნაპრეზიდენტალი.



როგორ ფიქრობთ, ვინ გვართმევს თავისუფლებას, გარედან მომხდური მტერი? არა, რა თქმა უნდა, ეს მტერი, ნაცების აზრით, თავად ქვეყნის ხელისუფლება გახლავთ, რომელიც გვართმევს თავისუფლებას, მომავალს გვართმევს, ქვეყანას გვართმევს. ამ ყველაფერს უნდა დაცვა, რაც უბრძოლველად არ გამოვა. ერთადერთი პატრიოტული ძალა, რომელსაც შეუძლია საქართველო იხსნას ამ განსაცდელისგან, გახლავთ „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ფერგაუხუნარი ლიდერი სააკაშვილი, რომელიც თურმე „ოცნების“ გადაგდებისთანავე თავის საფიცარ სამშობლოში დაერჭობა (!).

მაგრამ ვიდრე ეს მოხდება, მანამდე იმდენი უნდა აგინონ და თათხონ კოალიციური ხელისუფლება (უკვე ცალკეულ პარტიებად დაშლილი), რომ ხის წვერზე შემორჩენილი რეიტინგის ბოლო ნაყოფიც გააგდებინონ. თანაც როგორი დახელოვნებულნი არიან სიბინძურე-უნამუსობაში, იციან ხალხს გულს რით მოაფხანინებენ და ტელეშოუებიდან „ოცნებას“ მასირებულ დარტყმებს აყენებენ. უქნარები და უნიათო ერი ხართ, აბა ვინა ხართ, ხალხს სამართლიანობის დამკვიდრებას და კარგ ცხოვრებას შეპირდით და ვერც ერთი ვერ შეასრულეთო. ვერაფერს იტყვი, სულგაყიდული ნაცების სამართლიანობა სად გაგონილა, მაგრამ ამ საკითხში აშკარად მართლები არიან. **ქოცები თავის დროზე ხალხის სურვილს რომ დაყოლოდნენ, დასავლელი პარტნიორებისგან შემოგდებულ მოღალატურ კოჰაბიტაციას არ ამოფარებოდნენ, ქვეყნის დამაქცევარი, დანაშაულებრივი სისტემის შემქმნელნი იქა მსხდარიყვნენ, სადაც ჯერ არს, ახლა იმის მტკიცება აღარ დასჭირდებოდათ, რომ უქნარები და უნიათოები არ არიან და რეალურ საქმეთა კეთების ნაცვლად ოთხწლიან დროს შანტაჟისტ და პროვოკატორ ნაცებთან უთავბოლო კინკლაობა-კამათში არ დაკარგავდნენ.**

**დასანანია, ძალიან დასანანი, რომ კაცთმოყვარე, დემოკრატმა ქოცებმა კაცთმოძულე, ტირან ნაცების გადარჩენის მოტივით, ვითომ ამ უკანასკნელთა პრესტიჟი დაიცვეს, საკუთარი რეიტინგი კი მიწასთან გაასწორეს. აკი უფასებენ კიდეც ამ თავგანწირვას „ოცნების“ მესვეურთ სულგაყიდული ნაცები და მათი რუპორი ჟურნალისტები, ასევე ნამუსგაყიდული „ცრუსთავი-2“-დან, საიდანაც მთავრობის მაგინებელ-განმაქიქებელი „სიუჟეტები“ უწყვეტ ნაკადად მოსჩქეფს.**

თუმცა, როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, არც ისე წვიმს, როგორც პიარმეზღაპრე ნაცები და ცრუსთავიორელები ზარბაზნებს აქუხებენ. როგორც ირკვევა, იმ უბედურების შემდეგ, რაც ნაცებმა თავიანთი მმართველობის პერიოდში ქვეყანას თავზე დაატეხეს, ქოცების ყოველდღიური ლანძღვა-გინება იმდენად ამაზრზენი გახდა, რომ ზოგ ხელისუფალს რეიტინგადაც კი წაადგა. ნუ გეღიმებათ, მკითხველო, ამას თავად ნაცების კრიტიკისგან რეიტინგმომატებულები აცხადებენ.

**—„სახელმწიფოსგან „რუსთავი-2“ ყოველთვის თავისუფალი იყო და არის,** — ამბობს პარლამენტარი **თამაზ მეჭიაური, — მე მაწყობს ასეთი მენეჯმენტი, იმდენად რამდენადაც უფასო რეკლამას და პიარს მიკეთებენ სხვადასხვა შოუებით. მე მათი ოჯახისთვის ლუკმა-პურის მიწოდებას უზრუნველვყოფ. მე რომ არ ვიყო, მათ საქმე აღარ ექნებათ. ისინი მე მიკეთებენ უფასო რეკლამას და ჩემგან არაფერი მიდის გარდა პირადი რეიტინგისა, რომელიც „რუსთავი-2“-ისგან მოვიპოვე“.**

ნაცების მხრიდან გაუთავებული უთავბოლო კრიტიკით დიდად ნასიამოვნებია მეორე პარლამენტარი **ომარ ნიშნიანიძეც: ზოგიერთი ადამიანი, რომელიც გლანძღავს, განგაქიქებს და მასხარად გიგდებს, ჩვენს რეიტინგს ძალიან მაღლა სწევს: ამიტომ, ერთი „რუსთავი-2“ უნდა გქონდეს ქვეყანაში, თუ არ გაქვს, უნდა გამოიგონო. ჩვენ გვყავდა დავით აღმაშენებელი. ბიძინა არის მაშენებელი, მიშა იყო მაშინებელი,** — დასძენს დეპუტატი.

ვერ გეტყვით, ქვეყნის მაშენებელი ბიძინა ივანიშვილი ასევე ნასიამოვნებია თუ არა საკუთარი მფარველობით პოლიტიკურ სიკვდილს გადარჩენილი უმადური ნაცების ავადმყოფურად აკვიატებული კრიტიკით, რომლებიც, ჩემი კოლეგა გურამ გოგიაშვილის თქმისა არ იყოს, თოვს თუ ყინავს, წვიმს თუ ხვატი გვახრჩობს, ვიღაცას აჭარაში მუცელი მოეშალა თუ კახეთში სიმამრმა სიძე სასიკვდილოდ გაიმეტა, ყველაფერს ბიძინას აბრალებენ, მათ შორის შავიზღვისპირა მწვანე კონცხისა და თბილისის და ბოტანიკური ბაღის მიტაცებასაც. ერთადერთი რაც გამორჩათ, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრია, არადა დანაშაულის უტყუარიდოკუმენტი სახეზეა — მილიარდერმა ამ კულტურის კერის სარეაბილიტაციოდ ხომ 40 მილიონი გაიღო!

ივანიშვილი, როგორც სჩვევია, მრავალმნიშვნელოვნად დუმს. ეტყობა, ის მოქმედებს პრინციპით: „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“ და ელოდება მომენტს, როცა ბოროტების მთესველი ნაცმოძრაობა საკუთარ თავს თავადვე ამოიჭამს. საამისოდ წინასაარჩევნო პერიოდი რომ ზედგამოჭრილია, უკვე გამოჩნდა. ჩასაძირად განწირული გემიდან ჯერ „გირჩები“ (ჯაფარიძე, ხაჩიძე, მელაძე, კუბლაშვილი) გადახტნენ, ახლა კი ნაციონალური კაბინეტური მმართველობის მოკრიტიკე და ინოვაციების მოწადინე ვაშაძემაც ისკუპა წყალში. როგორც ვარაუდობენ, ნაცბანდელებს მალე ბოკერია, კანდელაკი, გაბაშვილი, თაქთაქიშვილი და ძმანი მისნი მიყვებიან, რომლებსაც მიშა ალბათ მისთვის ჩვეული გონებამახვილობით „ქინძებს“ დაარქმევს.

ასეა, მწარე რეალობას ვერავინ გაექცევა ეს ჩვენი სატანა ნაცები „აბდალი“ ქოცების შეჭმას აპირებდნენ და საკუთარი თავი კი შემოეჭამათ...

**ოთარ ხუციშვილი**

---

**ვერვინ მოვა ჩვენზედაო...**

# ენციკლოპედია თუ „ტყუილების გუდა?!“

## ღია წერილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეს, ქ-ნ მ. ბერიკაშვილს,

## ანუ „უთავბოლოდ აშენებული სიტყვის ყორე“ (ი. ჭავჭავაძე)

**ქ-ნო მანანა,**

ეს-ესაა გავეცანი ჟურ. „მუსიკის“ ახალ ნომერს (№1, 2016) — თურმე ჯერ კიდევ შარშან (17.01.2015) ჩაგიტარებიათ პრეზენტაცია იმ წიგნისა („ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“), რომელიც, თქვენი აზრით, უნიკალური და არაჩვეულებრივი ნაშრომი ყოფილა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ აკონკრეტებთ, მაინც, რა მხრივ არის იგი უნიკალური და არაჩვეულებრივი... თურმე რამდენი რამ არ მცოდნია, რამდენი რამ გავიგე, რაც ეს ენციკლოპედია ავიღე და დავიწყე კითხვაო, ბრძანებთ აღფრთოვანებული, მაგრამ, ეგებ, ჯერ დაგემთავრებიათ, ქალბატონო, მისი გაცნობა და მერე გამოგეთქვათ თქვენი აზრი?! ნუთუ მთელი წელიწადი ველარ მოიცალეთ საამისოდ?!

სხვა გამომსვლელებიც ყოფილან შარშანდელ პომპეზურ პრეზენტაციაზე და ატეხილა ერთი ამბავი, საგანძურიო, შენაძენიო და ა.შ. მაგრამ „შერეკილების“ ერთი გმირის არ იყოს, **ნამეტნავად** მონოტორულია ეს გამოსვლები, ქ-ნ მანანა, ნამეტნავად, და არ გეკადრებათ კულტურის მინისტრის მოადგილეს ამ „გაუგებრობის“ (ეს ტერმინიც ქართული კინოდანაა!) თავკაცობა — გამოვიდეს, წიგნი იქნება თუ ფილმი ან სპექტაკლი და თავადვე გავერკვევით მის ღირსება-ნაკლოვანებებში, თორემ, რაც თქვენ უნიკალური და არაჩვეულებრივი გგონიათ, სამწუხაროდ, კატეგორიულად ვაცხადებ, ერთი „ტყუილების გუდაა“ და მეტი არაფერი...

ამდენად, ბევრი რომ არ გავაგრძელო (სად გაქვთ მინისტრის მოადგილეს შესული წერილების კითხვის თავი, აგერ, ერთი წლის წინათ იმ ყბადაღებული ლექსიკონის კითხვა დაგიწყიათ და ჯერაც ვერ დაგიმთავრებიათ!). ქ-ნო მანანა, სატელევიზიო დებატებში გიწვევთ მთელ იმ თქვენს გუნდთან (ანუ 2 ავტორ-შემდგენელი და რედაქტორი, 5 რედაქტორ-კონსულტანტი, 1 ლიტერატურული რედაქტორი, 2 კორექტორი და 18 მხარდამჭერი, რომელთა გვარები, „ბაკულას ღორებისეული “, იმთავითვე განწირული, პრინციპით, ლექსიკონის პირველსავე გვერდზე რომ ჩამოგიწიკწიკებიათ, აქაოდა, „ვერვინ მოვა ჩვენზედაო “...) ერთად და იქ განვსაჯოთ პირუთვნელად ტყუილ-მართალი — ასე უპასუხისმგებლოდ (გამომცემლობაც კი არაა მითითებული!), როგორ შეიძლება, საერთოდ, ენციკლოპედიური ლექსიკონების ბეჭდვა, მით უმეტეს, ნაშრომისა, რომელშიც ტიტანური შრომაა ჩადებული?! რატომ ყრის თქვენი სამინისტრო უამრავ თანხას მსგავს უბადრუკ გამოცემებში (მიაქციეთ ყურადღება — **გამოცემას** ვგულისხმობ და არა თვით პროექტს), რატომ, რა უფლებით დასცინით მის უდიდებულესობა — მკითხველს?!

აბა, ძვირფასო ქალბატონო, ერთხელაც შემოიკრიბეთ შარშანდელივით თქვენი




# თბილისმა რადიოლოგთა საერთაშორისო კონგრესს უმასპინძლა

## ფრიდონ თოდუას კლინიკა 25 წლისაა

**7-8 მაისს თბილისმა რადიოლოგთა საერთაშორისო კონგრესს უმასპინძლა. ღონისძიება თავისი მნიშვნელობით საყურადღებო მოვლენა იყო როგორც მედიცინის, ისე მთელი ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის. საქართველოს რადიოლოგთა IV კონგრესის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.**

ფორუმში მონაწილეობდნენ გამოჩენილი უცხოელი რადიოლოგები, ასევე მედიცინის სხვა დარგების წამყვანი სპეციალისტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან: ავსტრიიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, აშშ-დან... თბილისს სტუმრობდნენ რადიოლოგები საქართველოს რეგიონებიდან. სასტუმრო „რედისონში" მასპინძლობა გასწია საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტმა, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამფუძნებელმა და სამეცნიერო ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა **ფრიდონ თოდუამ**. სწორედ მის სახელსა და მოღვაწეობას უკავშირდება რადიოლოგიის, როგორც მედიცინის უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარება საქართველოში. სიმბოლურად დაემთხვა ღონისძიებას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ე. წ. „თოდუას კლინიკის" იუბილე. მაისში მას არსებობის მეოთხედი საუკუნე — 25 წელი უსრულდება. ეს იყო ურთულესი წლები: შენების, ძიების, სიახლეების დანერგვის, ოცნებების ფრთაშესხმისა. როგორც ხვდებით, ეს არ იყო ადვილი, ია-ვარდით მოფენილი გზა, არც აზიზად ხონჩით მორთმეული მიღწევა თუ წარმატება. მასში უდიდესი შრომა და რწმენა არის გაერთიანებული. სამართლიანად შენიშნა კიდეც ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რ. რინმიულერმა: **„გერმანული პუნქტუალობა, გერმანული ენერგია შერწყმული ქართულ ტემპერამენტთან და ქართულ გონიერებასთან, ასევე ავხსნი ბატონ ფრიდონ თოდუას წარმატების რეცეპტს!"**

საკმაოდ დატვირთული იყო თემატურად კონგრესის ორივე დღე: გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ონკოლოგია, რადიაციული ონკოლოგია, ნეირორადიოლოგია, ინტერვენციული რადიოლოგია და სხვა... სპეციალური სექცია დაეთმო სტუდენტებს. საუკეთესო მოხსენებისთვის ახალგაზრდები ფულადი პრემიებითაც კი დააჯილდოვეს. ფორუმის მიზანი იყო, რომ რადიოლოგიასა და რადიაციულ ონკოლოგიაში მომუშავე სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებსა და სპეციალისტებს გაეზიარებინათ გამოცდილება, გაეცნოთ სიახლეები, რაც სრულყოფილად მოხერხდა კიდეც.

**„ჩვენ შევძელით ის, რომ ქვეყანაში მაღალია ჯანდაცვის მომსახურების კუთხით მოსახლეობის კმაყოფილების ინდექსი",** — აღნიშნა პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ **დიმიტრი ხუნდაძემ** მისასალმებელ სიტყვაში. მართლაც რომ, სახელმწიფო ამის მიღწევას ვერაფრით შეძლებდა, რომ არა სამედიცინო დარგის სპეციალისტების ძალისხმევა, რომ არა მათი მისწრაფება — საქართველოში დანერგონ და განავითარონ ის ნოვატორული სერვისები, რაც ხელმისაწვდომია მაღალგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობისთვის.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ **არჩილ თალაკვაძემაც** აღიარა, რომ **„საქართველოში რადიოლოგია ნახტომებისებურად ვითარდება და ფეხს უწყობს მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიურ ევოლუციას. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ, რომ რადიოლოგიას სათავეში უდგას ბატონი ფრიდონი, სხვა გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად",** — დასძინა მან.



საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტის როგორც პიროვნულ, ისე საზოგადო დამსახურებაზე ისაუბრეს უცხოელმა სტუმრებმა, კოლეგებმა. დიდი კმაყოფილების გრძნობით ყვებოდა ბატონი ფრიდონი, განვლილ წლებსა და მიღწევებზე, როცა საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის მუშაობისა და ჩატარებული აქტივების შესახებ ანგარიში წარადგინა: **„თანამედროვე მედიცინის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რადიოლოგიის სრულყოფაზე. საქართველოს მედიცინას ყოველთვის ჰქონდა ძლიერი რენტგენოლოგიური სკოლა. მიუხედავად ასეთი დიდი ტრადიციებისა, გარკვეული პერიოდი რენტგენ-რადიოლოგია საქართველოში ჩრდილში იმყოფებოდა, რაც, ალბათ, ქვეყნის მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით უნდა აიხსნას. დარგის აღმავლობა 1991 წლიდან იწყება. ამის ლოგიკური დადასტურება იყო 1995 წელს საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის ჩამოყალიბება. დღიდან დაარსებისა, ჩვენი ასოციაცია ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის ასოცირებული წევრია... მეამაყება, რომ ერთ დროს არაპოპულარული რენტგენოლოგია და რადიოლოგია დღეს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და ძვირად ღირებულ სამედიცინო სპეციალობად ითვლება",** — აღნიშნა ბატონმა ფრიდონმა.

მართლაც რომ, დღეს ქართული რადიოლოგია განსაკუთრებული აღმავლობის გზაზე დგას. თითქმის აღარავის უკვირს ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის მიღწევები, კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის შესაძლებლობები. საქართველოს ყველა ქალაქსა და რეგიონში ფუნქციონირებს 60 კომპიუტერული ტომოგრაფია, 20-ზე მეტი მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია... ჩვენს სინამდვილეში შეუცვლელი გახდა სხივური თერაპია ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობაში... რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოქალაქეებს აღარ უწევთ სამკურნალოდ უცხოეთის კლინიკებში გამგზავრება.

როგორც ბატონი ფრიდონი ამბობს: **„საქართველოში უკვე გვაქვს „ვარიანის" ფირმის 3 სხივური ამაჩქარებელი და ხელი გვაქვს მოწერილი კიდევ ორი დანადგარის შეძენაზე. მიმაჩნია, რომ ეს არის დიდი წარმატება, რადგან ევროპის ბევრ ქვეყანაში არ არის ასეთი დონის სხივური თერაპიის აპარატები"**.

დღეს საქართველოში 600-ზე მეტი ექიმი-რადიოლოგი მოღვაწეობს. ალბათ, ამიტომაც იყო საქართველოს რადიოლოგთა IV კონგრესი ასეთი წარმომადგენლობითი და მასშტაბური, მიუხედავად უცხოელი სტუმრების სიმრავლისა...

**თეა მოსია**

---

„გუნდი და გუნდი" რედაქტორ-კონსულტანტ-მაამებელთა და მისთ. დამითქვით დრო და ადგილი, სად გამოვცხადდე — გაძლევთ რაინდულ სიტყვას, რომ **მხოლოდ** პირველ გვერდს განვიხილავ თქვენი „უნიკალური" გამოცემისას და დაგარწმუნებთ, რომ ენციკლოპედიური ტექსტის რედაქტირება, ძალიან, ძალიან მსუბუქად რომ ვთქვათ, არაა თქვენი ყოჩი-ქალების საქმე. მათ ისედაც დიდი საქმე გააკეთეს, ამოდენა მასალის თავმოყრითა და კლასიფიკაციით, მაგრამ რედაქტორობაზეც არ უნდა წაცდენოდათ ხელი და სწორედ აქ სჭირდებოდათ ნამდვილი მეგობრული რჩევა. თქვენ კი გულგრილი დამოკიდებულება გამოიჩინეთ და უაზროდ წაახალისეთ ეს ქალური კაპრიზი — ვერაფერი მეგობრობაა, მე და ჩემმა ღმერთმა!

გეახლებით სრულიად მარტო, რაღა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ეროვნულ კოსტიუმში, მაგრამ ამჯერად არატრადიციული აღჭურვილობით — უიარაღოდ.

**მარად თქვენი**
**გოგი დოლიძე**

## უფრთხილდით ინფექციურ დაავადებებს

**დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სეზონურ ინფექციებზე ისაუბრა და ზაფხულის მოახლოებასთან დაკავშირებით, მოსახლეობას რეკომენდაციებით მიმართა. იმნაძემ ლეიშმანიოზსა და მალარიაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ლეიშმანიოზის რამდენიმე ათეული შემთხვევა ვლინდება. იმნაძის თქმით, დაავადების გადამტანი მწერები შებინდებისას გამოდიან და მათი ნაკბენის შემჩნევა შეუძლებელია. კბენის შემთხვევები ივნისის მეორე ნახევრიდან იწყება, ხოლო დაავადების გამოვლენა შემოდგომის ბოლოს ხდება.**

**რაც შეეხება მალარიას, იმნაძის თქმით, საქართველოში ბოლო რამდენიმე წელია ამ დაავადების ადგილობრივი შემთხვევები არ ვლინდება. პაატა იმნაძის განცხადებით, იგი არ ელოდება საქართველოში ზიკას, დენგეს და ჩიკუნგუნიას ინფექციების გავრცელებას. რაც შეეხება ბოტულიზმს, იმნაძე მოსახლეობას ურჩევს, ნუ დაამზადებენ ისეთი პროდუქტების კონსერვს, რისი თერმულად დამუშავებაც გახსნის შემდეგ აღარ შეიძლება. ასევე, იმნაძის რჩევაა, მალფუჭებადი პროდუქტები მაცივარში შეინახონ, ხოლო ბუნებაში გასვლისას, წყალი ბოთლიდან მიიღონ.**



## ერთიანი ეროვნული გამოცდები პირველ ივლისს დაიწყება

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდას აბიტურიენტები პარასკევს და შაბათს, 1 და 2 ივლისს ჩააბარებენ.**

**4-5 ივლისს აბიტურიენტები ზოგადი უნარების გამოცდას ჩააბარებენ, 6-7 ივლისს მათ უცხო ენის ჩაბარება მოუწევთ. 8 ივლისს — სამოქალაქო განათლება, 11 ივლისს — ქიმია, 14 ივლისს — მათემატიკა, 15 ივლისს — გეოგრაფია, 18 ივლისს — ისტორია, 20 ივლისს — ბიოლოგია, 21 ივლისს — ფიზიკა და ამავე დღეს აბიტურიენტები შეძლებენ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩაბარებას.**

როინ მეტრეველი



# შვიდ სამეფოდ განწესებული

## „რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“

ვინ არიან აჯანყებულთა რიგებში? ვინ ჩაიდინა „საქმე ყოველთა ძუელთა გინა ახალთაგან უბოროტესი?“ თამარის პირველი ისტორიკოსი გარკვეული თანმიმდევრობით ჩამოთვლის მათ: **გუზანი,**


თამარ მეფე

კლარჯეთისა და შავშეთის პატრონი, **ბოცო** – სამცხის სპასალარი, **ვარდან დადიანი** – მსახურთუხუცესი („ლიხთ-აქით პატრონი ორბეთის და კაენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსიამდის უცილობელად ქონებისა“). მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლისას ისტორიკოსი ვარდან დადიანს ბოლოს ასახელებს, იგი მაინც აჯანყებულთა ძირითად, ცენტრალურ ფიგურად უნდა მივიჩნიოთ. ჯერ ერთი, თავისი თანამდებობით იგი სხვა აჯანყებულ დიდგვაროვან ფეოდალებზე მაღლა დგას (თავისთავად ესოდენ მაღალი ხელის – მსახურთუხუცესობის მატარებელი პირის მეფის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლა საგულისხმო მოვლენაა. აქ უთუოდ მეფესა და მსახურთუხუცესს შორის ურთიერთობის გამწვავებასთან უნდა გვქონდეს საქმე), ამასთანავე, იგი თავისი შემოქმედებით ყველაზე აქტიურია. სწორედ ვარდან დადიანმა მიიმხრო და „შეყარა“ სვანეთი, აფხაზეთი, საეგრო, გურია, რაჭა, თაკვერი და არგვეთი და **„აფიცა რუსისა გამეფებისა და მისის მეფე – ყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი“**. უფრო მეტიც, ვარდანმა ქვეყნის ლაშქარი გაგზავნა გუზანთან. აქედან რუს უფლისწულთან ერთად შეერთებული ზალით მეამბოხენი გადავიდნენ სამცხეში, სადაც მათ დახვდათ ბოცო სამცხის სპასალარი სხვა მესხ აზნაურებთან ერთად „და ვინცა მისი მიმდგომი იყო“.

აჯანყებულებმა, როგორც ირკვევა, იური გეგუთს გადაიყვანეს და იქ მეფედაც კი გამოაცხადეს. თამარ მეფე თავიდანვე არ ყოფილა მოსურნე აჯანყებულებთან შებმისა და ამ რთული საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა განუზრახავს. ამ მიზნით მას საგანგებო მოციქულებიც კი გაუგზავნია აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად. თევდორე პატრიარქსა და ანტონი ქუთათელსა... და სხუათა ეპისკოპოსთა გზავნიდის, ოდესმე შინაურსა ეჯიბსა და მესტუმრესა“, მაგრამ, როგორც ჩანს, მეამბოხეები მყარად იდგნენ თავიანთ განზრახვაზე და მეფესთან მშვიდობიან შერიგებაზე არ დათანხმებულან. ის პერიოდი, რომელიც მოლაპარაკებას დასჭირდა, თამარმა თავისი ძალების მობილიზებისათვის გამოიყენა.

აჯანყებულები ორად გაიყვნენ. ერთმა ნაწილმა გადალახა ლიხის მთა, ააოხრა ქართლი და ნაჭარმაგევამდე და გორამდე მოვიდა. მეორე ნახევარმა „დადიანთა წინაძღომითა“ (მხედველობაში ვარდან დადიანი უნდა იყოს – რ. მ.) გადაიარა რკინის ჯვარი, ჩავიდა ციხისჯვარს, შემდეგ დაწვეს ქალაქი ოძრხე. აჯანყება თანდათან იზრდებოდა. აჯანყებულებმა იციან ის ამბავი, რომ საქართველოს მეფეს გასდგომია „ქურდვაჭრისა იქით... ყოველი სომხითი: ივანე ვარდანის ძე, პატრონი გაგისა; მაყა, პატრონი კაიწონისა (კაენი თვით ვარდანისი იყო), სხუანი მის ქუეყანასა აზნაურის შვილნი“. ბუნებრივია, რომ ასეთი ფართო მასშტაბის აჯანყებაში დიდ ადგილს მოსახლეობის დაბალი ფენებიც დაიჭერდნენ, უშუალო ბრძოლისათვის მათი ძალა იქნებოდა გამოყენებული.

ბუნებრივია, საქართველოს სამეფო კარი გულხელდაკრეფილი არ დახვედრია აჯანყებულთა მოქმედებას. საგანგებო ბრძანება მიეცა ამირსპასალარს – გამრეკელს, **„ოთხთა მხარგრძელთა და სხუათა თორელთა, ზემოთა და ქუემოთა, წასვლა და მიგებება წინა ქუეყანასა ჯავახეთისასა“**. თამარის ლაშქარს ერთგულად დარჩენილი მესხებიც შეუერთდნენ. მოწინააღმდეგენი მტკვრის სხვადასხვა მხარეს დაბანაკდნენ, ხოლო შებრძოლება მოხდა „ჴიდსა ზედა“. მებრძოლები სიბნელემ გაჰყარა. ჯერ კიდევ არ ჩანდა, თუ ვის მხარეზე იხრებოდა გამარჯვების სასწორი. ბჭობა გაიმართა ორივე ბანაკში. მეამბოხეებს გადაუწყვეტიათ, უკან დაეხიათ და ციხე-სიმაგრეში გამაგრებულიყვნენ. სამეფო ლაშქარი დაედევნა მტერს. მეამბოხეები კვლავ შეეცადნენ გარიდებას. თმოგვსა და ერუშეთს შუა გაიმართა დიდი ომი. თამარმა სძლია მოწინააღმდეგეებს.

საჭირო იყო მეამბოხეთა მეორე ნახევრისათვისაც მიეხედათ. საქართველოს ლაშქარი გაემართა ქართლისაკენ, მაგრამ ბრძოლა აღარ დასჭირდათ. გაუგიათ თუ არა ქართლში მყოფ მეამბოხეებს თავიანთ მოლაშქრეთა ნაწილის დამარცხება („ამოწყუედა და გაქცევა“) ჯავახეთში, თვითონაც გაქცეულა („მსწრაფლ იჴმიეს გარდავლა“). ამრიგად, ეს ბრძოლა აჯანყებულთა დამარცხებით დამთავრდა. მძიმე დღეში ჩაცვივდნენ ძლეული მეამბოხეები, რადგან „თამაშსა ზედა ესე უსახური საქმე იკადრეს“. მძიმე განაჩენის მოლოდინში თავიანთი სრული მორჩილების ნიშნად „რომელნიმე მოვიდეს ყელ-საბელ მობმითა“. ბევრმა პირდაპირ მოსვლა და მორჩილების გამოცხადება ვერ გაბედა სასჯელის შიშით. მხოლოდ საგანგებო შუამავლობის შემდეგ (ამ შუამავლების პირით დიდებულები საქართველოს მეფის წინაშე ცოდვებს ინანიებდნენ და შენდობა-პატიებას ეაჯებოდნენ). გადმოვიდნენ ლიხთ-იმერიდან დიდებულები და თან იური უფლისწულიც გადმოიყვანეს. გამარჯვებულ სამეფო კარს, ალბათ, გარკვეული მოსაზრებებით დიდი სისასტიკე არ გამოუჩენია დამარცხებულ მეამბოხეთა მიმართ. იური ანდრიას ძე სრულიად უვნებელი გაუშვიათ თამარის ბრძანებით. იგი კვლავ ბიზანტიაში წასულა, რაც შეეხება ამბოხების სხვა თავკაცებს, არც ისინი სჩანან ისე დასჯილი, როგორც ეს კანონით იყო გათვალისწინებული, თუმცა, თანამდებობები კი ჩამოურთმევიათ. აჯანყების მოთავისათვის – ივანე ვარდანის ძისათვის მსახურთუხუცესობა წაურთმევიათ და ეს საპატიო ხელი ივანე სარგისის ძისათვის უბოძებიათ. თამარის პირველი ისტორიკოსი ასახელებს სხვა „შეწყალებულებსაც“, ერთგულების გამოჩენისათვის დაჯილდოებულებს. მათ შორის არის ზაქარია ვარამის ძე, რომელსაც უბოძეს „გაგი ქურდვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა“. სხვა ერთგული დიდებულებიც უხვად იყვნენ დაჯილდოებული. გამრეკელის გარდაცვალების შემდეგ ამირსპასალარობა ზაქარია მხარგრძელს ებოძა. თანაც მის სამფლობელოებს ქალაქი რუსთავიც მიუმატეს. მანდატურთუხუცესმა ჭიაბერმა დამატებით მიიღო „ჟინვანი, ქალაქი და ციხე, მრავლითა მთი„ლეთითა“. სარგის ვარამის ძეს უბოძეს თმოგვი, დანარჩენებიც „შეიწყალნეს თვითოეულნი თჳსითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა“.

იური ანდრიას ძე ქვეყნის დასაკავებლად მეორედაც გამოჩნდა. ამჯერად ეს არანის მხრიდან მოხდა. კონსტანტინოპოლიდან წამოსულმა რუსმა უფლისწულმა შეჰყარა განძისა და არანის ლაშქარი და შემოიჭრა საქართველოში – კამბეჩანის მხარეში, დაარბია ეს მხარე და ნადავლიც ბევრი აიღო. ხორნაბუჯის პატრონი საღირ მახატლისიძე მცირე ლაშქრით დაედევნა მოწინააღმდეგეს, შეებრძოლა თავგანწირვით და დაამარცხა კიდეც. იური ანდრიას ძე სხვა გადარჩენილ მებრძოლებთან ერთად გაიქცა და „გარდაიხუეწა“.

„სვეუბედური რუსის“ გაძევების შემდეგ ძლიერი საქართველო („შვიდივე ესე სამეფო“) სამეფო ტახტის მომავალზე ფიქრობდა და თამარის უშვილობაზე წუხდა.

სახარების პრინციპებზე გაზრდილი მეფე-ქალისათვის მძიმე იყო განქორწინება და ახალ ქორწინებაზე ფიქრი.

რუსის გაძევების უმალ გამოჩნდნენ თამარის ქმრობის მსურველნი. ესენი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნების მეფეთა შვილები, ქრისტიანი და მუსლიმი უფლისწულები. ბევრი კანდიდატი ქმრობისა უარით გაისტუმრეს. თამარის პირველი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ თამარის ქმრობის მონატრულმა მუტაფრადინმა („სალდუხის ძის ძემან“) მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, „დამგდებელმან მუჰამედისამან, სჯულისა ტკბილისამან“ თავშეუკავებელი საქციელი ჩაიდინა – თვითონ მოვიდა საქართველოში, რომ საქმე თავად გაერიგებინა. მას თან ახლდნენ მრავალი დიდებული, ხოჯაები და საჭურისები, მონები და მხევლები. მუტაფრადინმა მდიდრული ძღვენი ჩამოიტანა „თუალისა და მარგალიტისა, საჭურჭლეთა და ლართა თანა ავაზებისა და ტაიჭებისა სიმრავლითა“. ქმრობის კანდიდატი დიდებულებს პატივით მიუღიათ. იგი საქართველოში საკმაო ხანს დარჩენილა. ნადირობა და დროსტარება არ დაუკლიათ. თამარის ღირსად არ მიუჩნევიათ და „დაამხუეს ქედმაღლობა ტრფიალისა მისისა“. თამარის მაგიერ მუტაფრადინს შერთეს გიორგი III-ის უკანონო შვილი – „ერთი ხარჭთაგანისა ნაშობი, რეცა სახელდებული შვილად მეფისა“.

მუტაფრადინის გასტუმრების შემდგომ „რეცა დარბაზობისა სახედ“ საქართველოში ჩამოვიდა აღსართან შირვანშაჰი, რომელიც თამარის ქმრობის ღირსად ჩათვლის შემთხვევაში „რჯულის დაგდების“ მზადყოფნაში იყო. იგი დიდი ძღვენით ჩამოვიდა. პატივის მიგება არც აღსართანისთვის დაუკლიათ. თამარს კი მტკიცე პასუხი მიუცია: **„კუალად აღარა შესძინედ ესე ვითართა თქმად“**.


ლაშა-გიორგი

მეფე თამარის მოტრფიალე უცხოელ უფლისწულთა შორის ბერძენთა მეფის მანოელის შვილიცაა დასახელებული.

ზეპირსიტყვიერებამ თამარის ქმრობის მოსურნე კიდევ ბევრი უფლისწულის ამბავი შემოინახა...

როგორც ჩანს, ქვეყნისა და მეფე თამარის კეთილის მსურველებმა ამჯერად სწორი არჩევანი გააკეთეს. მეფის ქმრობის კანდიდატად ბაგრატიონთა ოსური შტოს წარმომადგენელი დავით ბაგრატიონი შეარჩიეს. **„იყო სახლსა შინა დედოფლისა რუსუდანისსა მოყმე ეფრემის ძეთაგანი, რომელ არიან ოსნი, კაცნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინ“**. თვით მეფისწულს ქართული ნარატიული ძეგლები კეთილად მოიხსენიებენ: **„მოყმე იყო ფერად-ნაკუთად კარგი, ბეჭბრტყელი, პირადტურფა და ტანად ზომიერი, ორთავე კერძოთა გუართაგან სახელმწიფო“**. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით დავით სოს-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 36, 41, 44, 49, 54, 59, 64, 69, 74, 79

ლანი ბაგრატიონთა ოსური შტოს წარმომადგენელი იყო. იგი დედის მხრიდანაც ენათესავებოდა მეფეს. გიორგი I-ის შვილს დემეტრეს ანაკოფიაში დარჩა შვილი დავითი, რომელიც, როგორც ზემოთაც ითქვა, გაიქცა ოსეთში ბებია ალდესთან ერთად, სადაც იქორწინა ოსთა მეფის ასულზე და იწოდა ოსთა მეფედ. დავითს შეეძინა შვილი ათონი, ათონს – ჯადარონი, ხოლო ჯადარონს დავით სოსლანი.

თამარმა დიდუბის სასახლეში იქორწინა. ქორწილი გრანდიოზული და სანახაობრივად საინტერესო იყო. დავით სოსლანი ღირსეული ვაჟკაცი გამოდგა. მან მალე გაითქვა სახელი მშვილდოსნობასა და ცხენოსნობაში, ცურვასა და ასპარეზობაში. დავითი ღრმად განათლებულიც იყო.

ქორწინება 1189 წელს მოხდა; აქედან მოკიდებული, დავით სოსლანი მტკიცედ ჩადგა საქართველოს სახელმწიფოს სამსახურში და ღირსეულ მეუღლეობას უწევდა მეფე თამარს.

ამიერიდან მეფე თამარი და დავით სოსლანი შეთანხმებულად განაგებდნენ ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებს: მათ მიზანსწრაფული მოქმედებითა და გონივრული მცდელობით ქვეყანაში მშვიდობიანი ცხოვრება დაამკვიდრეს, გადაჭრეს ბევრი საშინაო პრობლემა და საგარეო ურთიერთობების დამყარებაც მოხერხებულად მოაგვარეს.

მას შემდეგ, რაც იური ანდრიას ძე დამარცხებული „წარვიდა, მასვე მისსა სუე-უბედურსა გზასა“, ქვეყნად მშვიდობა, სიხარული და ერთობა სუფევდა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ამ ვითარებას ამაღლებულად გადმოგვცემს: **„ერთბამად ძოვდეს ლომი და ხარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა, და მგელი ცხუართა თანა. განდიდნა სახელი თამარისი ყოველსა ზედა პირს ქუეყანისასა, და ლაშქრობდა დავით ბრძანებითა და გამორჩევითა თამარ სუე-ალექსანდრიანისათა და იმარჯუებდა შეწევნითა ზეგარდმოთა“.**

1191 წ. ამირსპასალარად დაინიშნა ზაქარია სარგისის ძე მხარგრძელი, რომელიც „ლორის პატრონი“ იყო. მას თამარმა რუსთავიც მიუმატა. მანდატურთუხუცეს ჭიაბერს „მოუმატეს და უბოძეს ჟინვანი, ქალაქი და ციხე, მრავლითა მთიულეთითა“. შეიწყალეს სარგის ვარამის ძე, იგი დალოცეს და უბოძეს თმოგვი. წირქუალელნი, ზარტიბისძენი, გრიგოლისძენი, ჭიაბერისძენი, მახატლისძენი, თორღასძენი – „შეიწყალნეს თითოეულნი თვისითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა“.

მემატიანე გულისტკივილით გადმოგვცემს, რომ გუზანმა თვისი ორგულობა გამოაჩინა – შაჰარმენთან წავიდა და თანაც საქართველოს ჩამოაცილა ტაოსკარი, ვაშლოვანი და სხვა ციხეები. მას ზოგიერთი სხვა (სამძივარი, მელვინეთუხუცესი და სხვ.) ფეოდალიც მიემხრო. მოღალატეებმა კოლის მთას შეაფარეს თავი. მათ წინ მოეგებნენ ზაქარია ფანასკერტელი და „ძინიელნი, კალმახელნი, ყრმანი კარგნი და პატრონისაგან შეწყალებულნი“. მათ შეიტყვეს, რომ შაჰარმენის ლაშქრით მოსულა მოღალატე გუზანის შვილი, რომელსაც დედა და და-ძმები უნდა წაეყვანა და ციხეებში კი თურქნი შეეყენებინა. მომხდურთა ლაშქარი მრავალრიცხოვანი იყო, რის გამოც ზაქარია ფანასკერტელსა და მის მცირერიცხოვან თანამებრძოლებს დაჭირვებული ომის გადახდა მოუხდათ. მათ გაიმარჯვეს, გუზანის ცოლშვილიც ხელთ იგდეს, ციხესიმაგრეებიც თავისად მიითვალეს.

**საქართველოს სამეფოსთვის საზეიმო გახდა ტახტის მემკვიდრის დაბადება – 1192 წელს ტაბახმელას თამარმა „შვა ძე“, რომელსაც გიორგი დაარქვეს. გიორგის ლაშასაც (განმანათლებელს) უწოდებდნენ. მთელმა საქართველომ ზეიმით აღნიშნა მემკვიდრის დაბადება.**

### ანონსი

**მომავალ ხუთშაბათს: „მძლეობა ქართველთა გამარჯვებისა“ – შამქორისა და ბასიანის ბრძოლები**

◎ სულიერება

# წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა, საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებლისა



**12 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ანდრია პირველწოდებულს, რომელიც წარმოშობით გალილეიდან იყო.**

როცა იოანე ნათლისმცემელმა იორდანეს ნაპირებზე ქადაგება იწყო, ანდრია იოანე ზებედესთან ერთად წინასწარმეტყველს გაჰყვა, და იმედოვნებდა, რომ თავის სულიერ კითხვებზე პასუხს მის მოძღვრებაში ჰპოვებდა. ბევრი ფიქრობდა, რომ შესაძლოა, იოანე ნათლისმცემელი იყო მომავალი მესია, მაგრამ იგი ადამიანებს უხსნიდა, რომ მესია არ არის, არამედ მას მხოლოდ გზას უმზადებს. იმავე ხანებში უფალი იესო ქრისტე იოანე ნათლისმცემელთან მოსანათლად იორდანეზე მივიდა.

ანდრია პირველწოდებულმა გაიგო რა ამის შესახებ, იოანესთან ერთად გაჰყვა იესოს. ანდრიამ, რომელიც სხვა მოციქულებზე ადრე გაჰყვა უფალს, პირველწოდებულის სახელი მიიღო.

ანდრია მოციქული ქრისტესთან მთელი მისი ცხოვრების მანძილზე იმყოფებოდა. მაცხოვრის აღდგომის შემდეგ ანდრია მოციქული სხვა მოწაფეებთან ერთად მასთან შეხვედრას ელირსა და ზეთისხილის მთაზე იმყოფებოდა, როცა უფალმა ისინი აკურთხა და ზეცად ამაღლდა.

წმინდა ანდრიას წილად ხვდა ქადაგება შავიზღვისპირა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, სკვითიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში.

გადმოცემის თანახმად, სწორედ ანდრია მოციქული ითვლება რუსეთის, საქართველოს განმანათლებლად, სიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად. საბერძნეთში დაბრუნებული ანდრია მოციქული კურნავს ბევრ ადამიანს, მაგრამ ქალაქ პატრას მმართველი – ეგეატოსი მოციქულ ანდრიას წინააღმდეგ სიძულვილით აღენთო და მას ჯვარზე გაკვრა მიუსაჯა. ანდრია მოციქული სულაც არ შეუშინდა განაჩენს და შთაგონებული ქადაგებით, შეკრებილთა წინაშე მაცხოვრის ჯვარზე ვნების სულიერი ძალა და მნიშვნელობა გაცხადა. მაშინ მმართველმა ბრძანა, ისე ეცვათ ჯვარზე, რომ მას დიდხანს ეტანჯა. წმინდა ანდრია ჯვარზე ასო X-ის მსგავსად გააკრეს და ხელებში და ფეხებში ლურსმნები დააჭედეს.

ჯვარზე დაკიდული ანდრია განუწყვეტლივ ლოცულობდა. ის ქრისტეშობიდან 62 წელს მოწამებრივად აღესრულა.

**გიული ლიპარტია**

◎ ეს ჩვენი ისტორიაა

# სიმართლე კრწანისის ბრძოლისა

**კრწანისი არის საქართველოს ტრაგედიის უკანასკნელი მოქმედების ბოლო სცენა.**

**კონდრატე თათარაშვილი**

თითქოს ცა ჩამოიქცაო თბილისში, ნისლსა და თქეშში თითის თვალთან მიტანა ჭირდა, ლაფში ეფლობოდა ცხენმხედარი, ერთი მუჭა ქართველები წვიმასავით წამოსულ სპარსელებს იგერიებდნენ. რამდენჯერმე სძლიეს კიდეც და უკან აბრუნეს. ღმერთისა და საკუთარი მარჯვენის იმედზეღა დარჩენილიყვნენ, ბრძოლებში დაღლილ, მრავალ გამარჯვებანანახ მხცოვან მეფეს ჭაბუკური ენერგია მოეკრიბა და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულიყო. გავეშებული საჭურისი, ირანის მბრძანებელი აღა მახმად-ხანი, მზაკვარი და ულმობელი, მახინჯი სულისა და სხეულის პატრონი, გაოცებულიყო ერთი მუჭა ქართველების სიმამაცითა და „აღმოსავლეთის ლომის“, დიდი ერეკლეს, გინდაც პატარა კახის ენერგიით. ერთმორწმუნეთაგან ნაღალატევი, მოძმე ერის ულირს შვილთაგან გაყიდული, მხოლოდ თავის მარჯვენის იმედზე დარჩენილი ქართველობა მეფის გადარჩენაზეღა ფიქრობდა, თბილისს უკვე მამაზეციერიც ველარ უშველიდა ისე შემოსეოდნენ მის ციხე-კართ მტარვალნი. ძალით წარიტაცეს მეფე და ბრძოლის ველს გააშორეს.



**ბრძოლა თბილისის მისადგომებთან. მხატვარი ნუკრი შავგულიძე.**

რამდენ ტყუილ- მართალს იტევს ქართველთა ეს ერთ-ერთი უკანასკნელი წაგებული ომის ისტორია. კრწანისი ჩვენი ტკივილი და ცრემლია, გმირობის, თავდადებისა და ღალატის აპოგეა.

**„იხსნიდა თუ არა კრწანისის ომში გამარჯვება ქართულ სახელმწიფოებრიობას? – ვერ იხსნიდა, ისევე, როგორც მეფე ერეკლეს მიერ გამარჯვებით დაგვირგვინებულმა ბევრმა ბრძოლამ ვერ იხსნა ქართლ-კახეთის სამეფო. ტრაგედია დიდი ხნის წინ მზადდებოდა და იგი შეიძლება თავს დაგვტყდომოდა ან ცოტა უფრო ადრე, ან ცოტა უფრო მოგვიანებით“,** – წერს **თეიმურაზ პეტრიაშვილის** ახლადგამოცემული შესანიშნავი წიგნის **„კრწანისის ბრძოლის“** შესავალში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ვახტანგ გურული**.

„კრწანისის ბრძოლა“ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თეიმურაზ პეტრიაშვილის ისტორიულ თემაზე შექმნილი წიგნებიდან რიგით მეოთხეა **–„მთაწმინდაზე ერთი პატარა ბაღია“, „კრწანისის ნაბრძოლი ხმალი და ბატის ფრთის კალამი იოანე ბატონიშვილისა“** და **„ყვარლის ბრძოლის“** შემდეგ. ბატონი თეიმურაზის წიგნები დიდი ენთუზიაზმით, მონდომებით, მოვლენაა ღრმა გაანალიზებით, უამრავ სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობითაა შექმნილი. მის გამოკვლევებს გვერდს ვერ აუვლის ერეკლე II-ის ეპოქით დაინტერესებული ვერც ერთი პროფესიონალი. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ეპოქას არაერთი ცნობილი ისტორიკოსის ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ ბატონი თეიმურაზის „კრწანისის ბრძოლა“ იმითაცაა განსხვავებული, რომ მან დასაბუთებულად, მრავალ წყაროზე დაყრდნობითა და ძირეული შესწავლით უარყო ბევრი მცდარი შეხედულება, რომელიც აქამდე დამკვიდრებული იყო სამეცნიერო ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში, რომელიც შეგნებულად მიზნად ისახავდა დაეკნინებინა დიდი მეფისა და მხედართმთავრის ერეკლე II-ის ღვაწლი, სამეფო კარის წევრთა თავდადება და ერთგულება. ისევ ბატონ ვახტანგ გურულს მივუბრუნდეთ, რომელიც შესანიშნავად, პირუთვნელად აფასებს ავტორის ნაღვაწს – **„კრწანისის ბრძოლის ისტორიის შექმნა მისი გაყალბებით დაიწყო. უცხოტომელებმა აქაც „დაგვასწრეს“ და ჩვენ თვალწინ, და რაც უფრო სავალალოა, ცივილიზებული სამყაროს დასანახად დაიწყეს კრწანისის ბრძოლის ისტორიის გაყალბება, ერეკლე მეფისა და ამ ბრძოლის მონაწილე სხვა ქართველების სახელების ლაფში ამოსვრა. ის ნაშრომები მარტო ისტორიის გაყალბებით კი არ გამოირჩევა, არამედ ცინიზმით, რომელშიც აშკარად იკითხება სიტყვები: ესეც თქვენ, ქართველებო!“**

სწორედ ამიტომაც არის ასერიგად საჭირო და დროული, რომ ამგვარმა წიგნებმა, როგორიც „კრწანისის ბრძოლაა“ დღის სინათლე იხლონ და ნათელი მოჰფინონ ისტორიის ლაბირინთებში მავანთა მიერ მიჩქმალულ ჭეშმარიტებას. ისიც აღსანიშნავია, რომ წიგნს თან ახლავს 1735 წელს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი თბილისის გეგმა, რომელზედაც ოთხმოცზე მეტი დასახელებაა დატანილი. ბატონ თეიმურაზის მიერ ამავე გეგმაზე დამატებულია ზოგიერთი ადგილის ახლანდელი სახელწოდება, რათა დღევანდელი თვალთახედვით ნათლად წარმოვიდგინოთ 1795 წელს სპარსელთა შემოტევის თანხვედრა დღევანდელ განლაგებასთან. აქვეა ბრძოლის პერიპეტიების, მტრის დაბანაკებისა და მათი გადაადგილების ამსახველი ფერადი რუკაც.

წიგნში გამოყენებულია მხატვარ **ნუკრი შავგულიძის** კრწანისის ბრძოლის ამსახველი ტილოების ფერადი რეპროდუქციები. წიგნი გამოცემულია **შპს „თ.მ. და კომპანიის“** დირექტორის ბატონ **თამაზ მიქაძის** ფინანსური უზრუნველყოფით. წიგნის რედაქტორი გახლავთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მიხეილ ქავთარია,** ხოლო რეცენზენტი ქალბატონი **ლელა მიქიაშვილი,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

**მამუკა ვაშაკიძე.**

# უცნობი გენერალისიმუსი...

## სტალინი. პირადი ცხოვრება




*ალექსეი რიბინის ჩანაწერები*

### სტალინი ფრონტზე

ვოლკოგონოვმა კი, აი, როგორ დახატა ეს ყველაფერი: „საბრძოლო ნათლობის“ თაობაზე ჯერ ბერიას, მერე კი მალენკოვის მონაყოლის შემდეგ სტალინმა მტკიცედ გადაწყვიტა წასულიყო ფრონტზე თუნდაც ისტორიისთვის. განსაკუთრებულად, საგულდაგულო მზადების შემდეგ ასეთი წასვლა შედგა — 1943 წლის აგვისტოს დასაწყისში ის მართლაც იყო დასავლეთის და კალინინის ფრონტებზე, რის შემდეგაც მისი აზრით, მთავარსარდლობის დროინდელ მის ბიოგრაფიაში სუსტი ადგილი აღარ იყო დარჩენილი.

პირველ აპრილს სტალინმა სპეციალური მატარებლით კუნცევო დატოვა, შერჩეული იყო ძალიან ძველი ორთქლმავალი და ნახევრად დანგრეული ვაგონები. ამ პატარა შემადგენლობას შენილბვის მიზნით შეშით სავსე ბაქანიც მიაბეს. სტალინს თან ახლდნენ ბერია, მისი თანაშემწე რუმიანცევი და გადაცმული გაძლიერებული დაცვა. გჟატსკში რომ ჩავიდნენ, სტალინს იქ დასავლეთ ფრონტის სარდალი სოკოლოვსკი და სამხედრო საბჭოს წევრი ბულგანინი დახვდნენ. მოუსმინა რა ხელმძღვანელებს და გამოთქვა თავისი ზოგადი სურვილები, სტალინმა ღამე იქ გაათენა და იქიდან რჟევის მხარის კალინინსკის ფრონტზე ერემენკოსთან გაემგზავრა. აქ ის სოფელ ხოროშევოში უბრალო გლეხი ქალის სახლში გაჩერდა, რომელიც სხვა სახლებისგან მოშორებით იდგა (დიასახლისი მთელი თავისი ხარახურით სახლიდან წინასწარ გადაიყვანეს), ის პატარა სახლი მოჩუქურთმებული ლავგარდანითა და მემორიალური დაფით დღესაც იქ დგას და მთავარსარდლის ფრონტულ გმირულ საქმეებს შეგვახსენებს. ამბობენ, ზუსტად ამ სახლში ყოფნისას სტალინმა ორლოვისა და ბელგოროდის აღების ნიშნად პირველი საქვემეხო სალუტის განკარგულება გასცა, მაგრამ, შეიარაღებულ ძალებთან მისვლა, უფროსებთან და მებრძოლებთან შეხვედრა არ მოისურვა და ხოროშევოში ღამის გათენების შემდეგ ბერიასთან ერთად გაძლიერებული დაცვით მოსკოვში დაბრუნდა. ახლა შეეძლო კმაყოფილი ყოფილიყო — იმას ფიქრადაც კი ვერვინ გაივლებდა (თქმით კი, რა თქმა უნდა, აბა, ვინ გაბედავდა!), რომ სტალინს ფრონტი თვალითაც არ უნახავს და ის მხოლოდ კინოქრონიკის, გენშტაბის გენერლებისა და ბანაკის წარმომადგენელთა მოხსენებების მიხედვით იცოდა.

ვიმეორებ, ის იყო კაბინეტური ხელმძღვანელობის განუმეორებელი ოსტატი, ამიტომაც ფრონტის ხაზზე დასათვალიერებლად მისვლა (სინამდვილეში ის ძალიან შორს იყო ფრონტის ხაზისაგან) დასჭირდა არა იმ ორი ფრონტის მდგომარეობის გასაცნობად, არა იმ ნაწილების პირად შემადგენლობასთან შეხვედრის შთაბეჭდილებების გასამდიდრებლად, რომლებიც შეტევისთვის ემზადებოდნენ — არა, ეს ისტორიისათვის იყო საჭირო!... სტალინი თავის ისტორიულ რენომეზე ფიქრობდა, რათა მომავალ ჟამთაღმწერლებს სათანადოდ აესახათ მისი, როგორც მთავარსარდლის მოღვაწეობა. მის ბიოგრაფიაში უნდა ყოფილიყო ფურცელი მოქმედ არმიაში მისი შთამაგონებელი, სულისჩამდგმელი და იმედის მომცემი ჩასვლების შესახებ“.

* * *

ვისაც კი სურვილი აქვს, ვფიქრობ, ყოველი მსურველი შეამჩნევს, თუ რა დიდი განსხვავებაა ვოლკოგონოვის ამ აღწერილობასა და წინა აღწერილობას შორის. რა თქმა უნდა, ვოლკოგონოვს ვერ ეცოდინებოდა ის მნიშვნელოვანი ფაქტები, ჩვენთვის, თვითმხილველებისათვის რომ არის ცნობილი. მაგრამ რატომ არის საჭირო ისევ ასე უაპელაციოდ იმის მტკიცება, რომ სტალინი ომის დროს მეთაურებსაც კი არ შეხვედრია. მაშინ ვის ჩაუტარა თათბირი სოკოლოვსკისთან, ვორონოვთან და ერემენკოსთან? უხერხული ხომ არ არის გაუთავებელი ირონია სტალინის თითოეული მოქმედების გამო? ავტორი მეტისმეტ გაბედულებას ხომ არ იჩენს, როცა გამუდმებით იმის ფიქრსა და ცდაშია, როგორ დაადანაშაულოს იმ დროის ნამდვილი ბელადი, როგორც მდაბალი იმპერიული ცოდვებით დამძიმებული პიროვნება! ანდა, როგორ გამოუტანა უმაღლეს მთავარსარდალს ასეთი განაჩენი: „მისი დილეტანტური და არა კომპეტენტური ხელმძღვანელობა უმეტესწილად და უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა კატასტროფულ მატერიალურ და ადამიანურ დანაკარგში. ამის გადატანა შეეძლო მხოლოდ საბჭოთა ხალხს, რომელმაც გაუძლო ამას არა სტალინის „გენიის“ წყალობით, არამედ მისი ამ „გენიის“ მიუხედავად... მითითება მოულოდნელ თავდასხმაზე, მოუმზადებლობაზე, ჰიტლერის მუხანათობაზე, სამხედრო ხელმძღვანელობის შეცდომებსა და ა.შ. არ ამართლებს სტალინს, არამედ მხოლოდ ხაზს უსვამს მის სტრატეგიულ სიბეცეს. ხელმძღვანელობდა რა უმაღლესი მთავარსარდალი შეიარაღებულ ძალებს, მისი ხელმძღვანელობით ომმა გამარჯვებამდე მხოლოდ წარმოუდგენელი დანაკარგების ფასად მიაღწია... თუ ამას შევუპირისპირებთ „მთავარსარდლის გენიოსობას“, მაშინვე ნათელი გახდება, თუ რამდენად შეუსაბამო და არასწორია, როცა ომში გამარჯვებას უმაღლესი მთავარსარდლის დამსახურებად თვლიან“.

დასაწყისი იხ. № 65-79, 83



ამგვარი „მსჯელობები“ ამკობს წიგნის თითქმის ყველა გვერდს, წიგნისა, რომელიც იმხელა და იმ მოცულობისაა, რამხელაც ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“... ავტორმა ძალიან ადვილად გამოუტანა მსჯავრი ი.ბ. სტალინის მთელ ცხოვრებას და მოღვაწეობას, რაც მხოლოდ აოცებს უინსტონ ჩერჩილს.

ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია ეჭვი შეიტანო საბჭოთა ხელისუფლების ოდინდელი მტრის — ჩერჩილის კეთილგანწყობაში, მის სიმპათიაში ბოლშევიკებისა და მით უფრო, სტალინის მიმართ. თუმცა სწორედ ჩერჩილმა წარმოთქვა ლორდთა პალატაში სტალინის ოთხმოცი წლის იუბილესთან დაკავშირებით ეს სიტყვები:

**„დიდი ბედნიერებაა რუსეთისთვის ის, რომ იმ მძიმე განსაცდელის წლებში ქვეყანას სათავეში ედგა გენიოსი — არაჩვეულებრივი სარდალი ი.ბ. სტალინი... ის იყო გამოჩენილი პიროვნება, შთაბეჭდილების მომხდენი, ჩვენი მკაცრი დროის ამ პერიოდის გამაშინაარსებელი, რომელშიც მთელი ცხოვრება გაატარა... ის იყო განსაკუთრებული ენერგიის, ერუდიციის, გაუტეხელი ნებისყოფის, პირდაპირი, მკაცრი, დაუნდობელი და უკან არდამხევი. როგორც საქმის, ისე განსაცდელის დროს, რასაც მე, ინგლისის პარლამენტში აღზრდილმა, ვერაფრის დაპირისპირება ვერ შევძელი.**

**სტალინს ჰქონდა იუმორის და სარკაზმის დიდი ნიჭი, ასევე თავისი აზრების ზუსტად და ნათლად გამოთქმის გასაოცარი უნარი. თავისი გამოსვლებისთვის სიტყვებს სტალინი თვითონ წერდა და მის ამ ნაწერებში ყოველთვის მისი დამწერის ძალა იგრძნობოდა. ეს ძალა იმდენად დიდი და ძლიერი იყო მასში, რომ ის განსაკუთრებული, განუმეორებელი ჩანდა ყველა დროისა და ხალხებს შორის.**

**სტალინმა ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მისი გავლენა ადამიანებზე გასაოცარია. როცა იგი იალტის კონფერენციის დროს დარბაზში შემოდიოდა, თითქოს ვიღაცამ ბრძანება გასცა, ყველანი ფეხზე წამოვდექით და გასაოცარი ის არის, რომ ყველანი ხელებდაშვებულები, გაჭიმულები ვიდექით. იგი ფლობდა ყოველგვარი პანიკისგან თავისუფალ ლოგიკასა და გააზრებულ სიბრძნეს. იყო ყველაზე გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის უბადლო ოსტატი. როგორც განსაცდელის, ისე ზეიმის ყველაზე კრიტიკულ მომენტებში, ერთნაირად თავშეკავებული რჩებოდა და არასოდეს არ ნებდებოდა ილუზიას... სტალინი არაჩვეულებრივად რთული პიროვნება იყო.**

**მან შექმნა და დაიმორჩილა უზარმაზარი იმპერია, ეს იყო ადამიანი, ვინც თავისი მტერი თავისსავე მტრის ხელით გაანადგურა, ის კი არა, ჩვენ, ვისაც დაუფარავად გვეძახდა იმპერიალისტებს, გვაიძულებდა იმპერიალისტების წინააღმდეგ გვებრძოლა — სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომლის მსგავსი მთელ მსოფლიოშიც არ მოიძებნებოდა. მან რუსეთი კავიანი ჩაიბარა და ატომური იარაღით აღჭურვილი დატოვა... არა, ჩვენ რაც არ უნდა ვთქვათ მის შესახებ, ისტორია და ხალხი ასეთებს არასოდეს ივიწყებს“.**

ნუთუ ვოლკოგონოვმა, თავის ამ ნაშრომზე რომ მუშაობდა, ჩერჩილის ეს სიტყვები არ იცოდა? უცნაურია... ან იქნებ მისი მიზანი მხოლოდ ის იყო, პატივის და დიდების გვირგვინი მოეხსნა, აქაოდა, ვითომ პიროვნების კულტი იყო... თუ ასეა, შეიძლება ითქვას, რომ ამაოდ გაისარჯა, მით უფრო, ის თუ ვერ დაინახა, ვერ მიხვდა, ვერ იგრძნო, რაც ყველაზე მთავარია — ვერ დაინახა, თავად პიროვნება, პიროვნება, ვისაც უდიდესი პატივისცემით მოიხსენიებდნენ თვით მისი დაუძინებელი მტრებიც კი...

### სტალინი და გამარჯვების იარაღი

ორმოცდაორი წლის ზაფხულში კონსრუქტორებმა შექმნეს ძალიან ძლიერი ტანკი, მაგრამ, რაღაც ნაკლის გამო მანქანებს ბრძოლის დროს მნიშვნელოვანი ადამიანური დანაკლისი მოჰქონდა. სტალინმა გადაწყვიტა, თვითონ გარკვეულიყო, რა იყო ამის მიზეზი, ასეთი რა ნაკლი ჰქონდა მანქანას, ამიტომაც ტანკი კრემლში მოიყვანეს. სტალინის თხოვნით ტანკზე სამართავად ბრძოლებში მონაწილე მძღოლი დაჯდა. კონსტრუქტორმა დეტალურად აუხსნა მანქანის სასვლელი და საბრძოლო თავისებურებები. მაგრამ სტალინს მისთვის ბოლომდე არ მოუსმენია, გადაწყვიტა ტანკში თვითონ ასულიყო და ტუკოვს ასვლაში დახმარება სთხოვა. ლიუკი ღია იყო. მძღოლმა სტალინს აუხსნა, რომ სიარულის დროს არ შეიძლებოდა ტანკიდან გასროლა — უნდა გაგეჩერებინა და მხოლოდ ამის შემდეგ შეგესრულებინა სამი-ოთხი სამიზნე გასროლა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაჩერებული ტანკი თვითონ ხდებოდა მტრისთვის საუკეთესო სამიზნე. კონსტრუქტორი შეწუხდა, აღელდა.

სტალინმა შეწუხებული ჯერ დაამშვიდა და მერე ჰკითხა:

— რამდენი დროა საჭირო ამ ნაკლის გამოსასწორებლად?

— ერთი თვე, ამხანაგო სტალინ.

— სამ თვეს გაძლევთ. იცოდეთ, არც ჩვენ და არც ფრონტს, რომელიც ელოდება ამ ტანკს, იმედი არ გაგვიცრუოთ. აი, ეს ტანკისტი კი კარგი ყმაწვილია. ასეთებით კაცმა შეგიძლია იბრძოლო და გაიმარჯვო. იცოდეთ, არ აწყენინოთ, ეს მართალი იყო.

ამის შემდეგ სტალინმა გორკის სახელობის კულტურის პარკში ნაალაფარის გამოფენა დაათვალიერა და ბოლოს გენერალ ხმელნიკს ჰკითხა, შეიძლებოდა თუ არა, გამოეყენებინათ რაიმე ამ გერმანული ტექნიკიდან. მერე განსაკუთრებით დაინტერესდა თვითმავალი ქვემეხით და ახლა ის იკითხა, შეიძლებოდა თუ არა, ასეთი ან ამაზე უკეთესი შეექმნათ? კონსტრუქტორები შეჰპირდნენ. მალე განახლებული თვითმფრინავი ისევ იმ მძღოლთან ერთად კრემლში მოიტანეს და სტალინმა მძღოლს ისევ ჰკითხა:

— რას იტყვით, ვარგა ეს ქვემეხი?

— არა ამხანაგო სტალინ, არ ვარგა. სიარულის დროს სროლა არც ამისგან შეიძლება.

სტალინმა კონსტრუქტორს მარცხი ამჯერადაც აპატია და სთხოვა, მალე მიეწოდებინა ფრონტისთვის ამჯერად უკვე სრულყოფილი იარაღი.

* * *

მსგავსი მნიშვნელოვანი მაგალითები და პირადად სტალინის წვლილი გამარჯვების იარაღის დამზადებაში, იმედი მაქვს, ეჭვს არავისში იწვევს. მაგრამ ის მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილებულა. ფრონტების ნაირნაირი რუკები უახლოესი აგარაკის ყოფილ დარბაზში აღარ ეტეოდა. 1943 წელს სტალინის კაბინეტი და კიდევ ორი ოთახი გააუქმეს და ზალას შეუერთეს, რის შემდეგაც მთელი ეს დამატებითი სივრცეც მაშინვე რუკებმა დაიკავა. რუკებით იყო სავსე უშველებელი გრძელი მაგიდა, დივნები, იატაკი, ფანჯრის რაფები... სტალინი მათზე უსათვალოდ, დიდი და პატარა ლუპებით მუშაობდა. გამუდმებით იწერდა აზრებს, ხაზავდა ფანქრით მაგიდაზე, ფანჯრის რაფებზე და საერთოდ, სადაც მოხვდებოდა. ვერ გაიგებდი, როდის ეძინა და როდის ისვენებდა. ზოგჯერ ჩაჯდებოდა უცებ მანქანაში და წავიდოდა სემიონოვსკში. ტერასაზე და მეორე სართულის კიბის ქვეშ ორივეგან წნული მაგარი ტახტი იდგა. ერთ დილას ორლოვმა ყველა ოთახი შემოიარა, მაგრამ ნახა, რომ იქ არავინ არ არის. და აი, ხედავს, სტალინი წევს ერთ-ერთ იმ ტახტზე შინელითა და ბათინკებით ტერასაზე და სძინავს, მზემ რომ არ შეაწუხოს, სახეზე ქუდი აქვს დაფარებული — აი, სად უწია, სად წააქცია დაღლილობამ.

ვ.ი. ლენინს სტალინი დიდი პატივით ექცეოდა — მის სურათთან ყოველთვის ენთო ნათურა და სადმე სხვა ოთახში თუ გადავიდოდა, ან სადმე დასასვენებლად დააპირებდა წასვლას, მოითხოვდა, ლენინის პატარა ბიუსტი წამოეღოთ და გამოსაჩენ ადგილას დაედგათ.

(გაგრძელება იქნება)

საქმე №1/26-2016

# საარბიტრაჟო დადგენილება

## შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

## **საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 6 მაისი 2016 წელი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

**საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“**
**საარბიტრაჟო მოპასუხე: ბექა დანელია**

**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 25 მარტს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხე ბექა დანელიას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 24 ივლისს შპს „ნოვა კრედიტსა“ და ბექა დანელიას შორის დაიდო №071413468 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა“ მსესხებელზე გასცა 1330 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 4 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ბექა დანელიას ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ბექა დანელიას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ბექა დანელია ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ბექა დანელიას (პირადი №01011074650) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ბექა დანელიას განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ბექა დანელიას ეცნობოს, რომ 2016 წლის 13 ივნისს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ბექა დანელიას მიმართ.

5. ბექა დანელიას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

# შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მეორე პროექტი (SLRPII)**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P122204**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **SLRPII/CW/ICB-10**
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **კახეთის რეგიონში არსებული გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა შედეგსა და შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის (OPRC) ფარგლებში**
კონტრაქტის ხანგრძლივობა: **60 თვე**
შესაფასებელი ვალუტა: **ლარი**

**შეფასებული კომპანია:**
დასახელება: **ე.ს. "ზ და ს"**
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 40,549,225.00 ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლით
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 40,549,225.00 ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლით

დასახელება: **JV China Railway 23rd Bureau Group Co., Ltd & China Railway Eryuan Engineering Group Co., Ltd**
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 63,365,850.00 ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლით
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 63,365,850.00 ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლით

დასახელება: **ELSAMEX S.A**
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 75,139,496.14 ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლით
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 75,139,496.14 ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლით

**გამარჯვებული კომპანია:**
დასახელება: **ე.ს. "ზ და ს"**
მისამართი: საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №19ა
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 40,549,225.00 ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლით
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 40,549,225.00 ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლით
საკონტრაქტო ღირებულება: 40,549,225.00 ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლით

**დისკვალიფიცირებული კომპანია(ები):**
დასახელება: არ არის
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: არ არის

# Contract Award Notification

Project Name: **Second Secondary and Local Road Project (SLRPII)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**
Project Number: **P122204**

Bid/Contract Reference No: SLRPII/CW/ICB-10
Scope of Contract: Rehabilitation and Maintenance of Roads in Kakheti Region under Output- and Performance-based Contracting (OPRC)
Duration of Contract: 60 months
Evaluation Currency: Georgian Lari

**Evaluated Bidder(s)**
Name: **JV "Z&S"**
Bid price at bid opening: GEL 40,549,225.00 (including VAT)
Evaluated bid price: GEL 40,549,225.00 (including VAT)

Name: **JV China Railway 23rd Bureau Group Co., Ltd & China Railway Eryuan Engineering Group Co., Ltd.**
Bid price at bid opening: GEL 63,365,850.00 (including VAT)
Evaluated bid price: GEL 63,365,850.14 (including VAT)

Name: **ELSAMEX S.A.**
Bid price at bid opening: GEL 75,139,496.14 (including VAT)
Evaluated bid price: GEL 75,139,496.14 (including VAT)

**Awarded Bidder**
Name: **JV "Z&S"**
Address: 19a Al. Kazbegi Avenue, Tbilisi 0160, Georgia
Bid price at bid opening: GEL 40,549,225.00 (including VAT)
Evaluated bid price: GEL 40,549,225.00 (including VAT)
Contract Price: GEL 40,549,225.00 (including VAT)

**Rejected Bidder(s)**
Name: N/A
Address: N/A
Bid price at bid opening: N/A
Reason(s) for rejection: N/A

◉ ხვალ 13 მაისია

# მართლაც მარადიული თარიღი



**ხვალ 35 წელი სრულდება ქართული ფეხბურთის უდიდესი ტრიუმფიდან, როცა გენიალური ნოდარ ახალკაცის შექმნილმა ანსამბლმა დიუსელდორფის „რაინშტადიონზე" ომახიანი ჩვენებური გუნდური დააგუგუნა და სამშობლოში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასით ხელდამშვენებული დაბრუნდა.**




სამწუხაროდ, უკვე ზეციურ საქართველოში გადაინაცვლეს როგორც ბერმუხა ახალკაცმა, ისე მისი ძლევამოსილი შტაბის ღირსეულმა წევრებმა კახი ასათიანმა, გივი ნოდიამ, ზაქრო თელიამ, მწვანე მინდვრის რაინდებმა — ისტორიული სოლოს შემოქმედმა ვიტალი დარასელიამ, გუნდის ტვინმა დავით ყიფიანმა, ადამიანმა-გოლმა რამაზ შენგელიამ. სამარადჟამო დიდება მათ, 1981 წლის 13 მაისის დანარჩენ გმირებს კი, უკვე თმაშევერცხლილები რომ აძლევენ პირად მაგალითს მომავალ თაობებს, დღეგრძელობა ვუსურვოთ!

* * *

**გულშემატკივარს კარგად ემახსოვრება, რომ მაშინდელი გათამაშების ყველაზე შთამბეჭდავი ბრძოლა დინამოელებმა ლონდონის აპტონ პარკის „ბოლდეინ გრაუნდზე" იქაურ „ვესტ ჰემს" 4:1 მოუგეს (შენგელია — 2, ჩივაძე, გუცაევი).**

როგორც შევიტყვეთ, ჩვენთვის ტკბილად მოსაგონარი ეს სტადიონი ამიერიდან ამ პოპულარული კლუბის სარბიელი აღარ იქნება და მომავალი სეზონიდან „მჭედლები" საშინაო შეხვედრებს ლონდონის ოლიმპიურ არენაზე გამართავენ.

**გია პლატონიშვილი**

◉ მხატვრული ტანვარჯიშში

# ფაჟავა ჩვეულ კონდიციებს იბრუნებს

**ჩეხურ ბრნოში დამთავრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო გრან პრი, რომელშიც უძლიერესმა სპორტსმენებმა იასპარეზეს. მედლების მაძიებელთა შორის იყო თბილისელი სალომე ფაჟავა (მწვრთნელები — ელისო ბედოშვილი და ლალი დოლიძე).** შარშან მან მსოფლიოს ჩემპიონატში მე-4 ადგილი დაიკავა და რიოს ოლიმპიადის საგზური დაიმსახურა. სალომემ არც ისე დიდი ხანია, რაც ტრავმა მოიშუშა, ამიტომ ნელ-ნელა იბრუნებს სპორტულ კონდიციებს. ბრნოს გრან პრიზე ქართველმა ტანმოვარჯიშემ მრავალჭიდში 70.700 ქულა მოაგროვა და მეექვსე



ადგილზე გავიდა. ჩვენებურს მსოფლიოს ჩემპიონმა მარგარიტა მამუნმა (რუსეთი, 77.100), მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორმა მელიტინა სტანიუტამ (ბელარუსი, 74.600), დიანა ავერინამ (რუსეთი, 72.850), ვიქტორია ფილანოვსკიმ (ისრაელი, 72.100) და არინა ავერინამ (რუსეთი, 71.250) გაუსწრეს. სამაგიეროდ, ფაჟავამ ცალკეული საგნებით ვარჯიშში იყოჩაღა: გურზებით 18.600 ქულით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. პირველი-მეორე ადგილები მარგარიტა მამუნმა (18.950) და მელიტინა სტანიუტამ (18.700) დაიკავეს.

ფაჟავა ახლოს იყო კვარცხლბეკთან რგოლით ვარჯიშშიც, მაგრამ ფინალში ბრინჯაოს პრიზიორ სტანიუტას (18.850) 0.250 ქულით ჩამორჩა და მე-4 ადგილით დაკმაყოფილდა. „ოქრო" და „ვერცხლი" აქ რუსებმა — მარგარიტა მამუნმა (19.350) და დიანა ავერინამ (18.900) გაინაწილეს. სალომემ ლენტით ვარჯიშში საკვალიფიკაციო ეტაპზე შეცდომა დაუშვა და ფინალში ვერ მოხვდა, ხოლო ბურთით ავსტრიელ ნიკოლ რუპრეჩტისთან 17.700-17.700 ქულით IV-V ადგილები გაიყო. კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. მარგარიტა მამუნი (19.450), 2. მელიტინა სტანიუტა (19.050), 3. ვიქტორია ფილანოვსკი (18.450).

ქართველი ტანმოვარჯიშე მწვრთნელებთან ერთად ბრნოდან ბუდაპეშტს მიაშურებს, სადაც ამ შაბათ-კვირას კიდევ ერთი გრან პრი გაიმართება. მაისის მიწურულს კი ევროპის ჩემპიონატში ჩაებმება.

**ლაშა დიდია**

◉ გულისხმიერება

# დაკარგული „ოქროს" სანაცვლოდ

**1960 წლის პირველ სექტემბერს მარადიული ქალაქის ოლიმპიური სტადიონის სიმაღლეზე ხტომის სექტორთან უამრავ გულშემატკივარს მოეყარა თავი ხუთგზის მსოფლიოს რეკორდსმენის, ჩიკაგოელ კენგურუდ მონათლული ჯონ თომასის მორიგი გამარჯვების საყურებლად. ქომაგებს სურდათ, ახლოდან ენახათ თავიანთი კერპი. ოკეანისგაღმელს ჟურნალისტებიც არ აძლევდნენ მოსვენებას: სურათებს უღებდნენ და რედაქციებში ინფორმაციებსაც კი გზავნიდნენ ამერიკელზე, როგორც მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონზე. თომასიც წინასწარ იღებდა მილოცვებს.**



სურათზე: სტუმრად რობერტ შავლაყაძესთან.

ფავორიტებმა შეჯიბრება 190 სანტიმეტრი სიმაღლით დაიწყეს, მერე 195 სანტიმეტრი დაძლიეს. 27 წლის რობერტ შავლაყაძემ ორივე სიმაღლეზე უარი თქვა და იქვე სარბენ ბილიკებზე სპრინტერთა შეჯიბრების საყურებლად შებრუნდა. მეტოქეები 2 მეტრზე რომ ავიდნენ, მაშინ გამოიყენა პირველი ცდა.... ქართველმა მძლეოსანმა სიმაღლეზე ხტომაში ამერიკელთა ჰეგემონიას ჯერ კიდევ 1959 წელს ფილადელფიაში აშშ-ის და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ტრადიციული „გიგანტთა მატჩისას" შეურყია ტახტი — პირველი ადგილი რომ დაიკავა. და აი, ერთი წლის შემდეგ რომშიც დაჯაბნა ყველა მეტოქე: ქომაგთა გასაკვირად, ყველა სიმაღლე პირველსავე ცდაზე აიღო. ბოლოს 2016 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და ოლიმპიური რეკორდით ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მეორე დღეს იტალიურ გაზეთებში დაიბეჭდა: „სიმაღლეზე ხტომის ოქროს წიგნში დღემდე არ იყო არც ერთი ევროპელის სახელი. დღეს თბილისელმა რობერტ შავლაყაძემ ახალი ფურცელი ჩაწერა ამ მატიანეში"...

ბატონმა რობერტმა ოლიმპიური ოქროს მედალი ქართული სპორტის მუზეუმს გადასცა. გარკვეული დროის შემდეგ ძვირფასი ჯილდო, სამწუხაროდ, უკვალოდ გაქრა. ორიოდე დღის წინათ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი შინ ეწვია რობერტ შავლაყაძეს და მუზეუმიდან დაკარგული ოლიმპიური ოქროს მედლის ასლი გადასცა, რომელიც ქართველთა თხოვნით საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დაამზადა. ამ საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდნენ სეოკის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, ვიცე-პრეზიდენტები — ნინო სალუქვაძე და მამუკა ხაზარელი, მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ალექსი ახვლედიანი და ჟურნალ „ოლიმპიელის" რედაქტორი პაატა ნაცვლიშვილი.

**ლექსო ცინცაძე**

◉ კალათბურთი




# ეს თანავარსკვლავედია!

**„გოლდენ სტეიტის" ლიდერმა სტეფ კარიმ უნიკალური შედეგით ზედიზედ მეორედ დაიმსახურა ნბას წლის ყველაზე სასარგებლო მოთამაშის წოდება — მას ხმა გამოკითხვაში მონაწილე 131-ვე პროფესიულ კალათბურთზე მწერალმა ჟურნალისტმა მისცა (1310 ქულა). მეორე ადგილი 634 ქულით კავაი ლეონარდმა („სან ანტონიო") დაიკავა, ხოლო მესამე — ლებრონ ჯეიმსმა („კლივლენდი", 631 ქულა).**

დავძენთ, რომ აქამდე ზედიზედ ორჯერ ანალოგიური აღიარება მხოლოდ 10 ვარსკვლავს ხვდა, ხოლო კარიმ წლევანდელ რეგულარულ სეზონში 402 (!) სამქულიანი ჩააგდო.

* * *

**დასავლეთ კონფერენცია.**

**ნახევარფინალი. მეხუთე მატჩი.** „სან ანტონიო" — „ოკლაჰომა" 91:95 (სერიის ანგარიში 2:3).

**ყველაზე შედეგიანები:** ვესტბრუკი („ოკლაჰომა") — 40 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი. ლეონარდი („სან ანტონიო") — 26 ქულა.

**ვიტალი ჯაფარიძე**



# დედამიწის ზურგზე



**ისლამისტებმა სირიაში გაზის ორი საბადო ჩაიგდეს ხელში და კვლავ ემუქრებიან პალმირას**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, ისლამური სახელმწიფოს ბოევიკებმა შეძლეს ხელში ჩაეგდოთ გაზის საბადოები შაერი და მახრი სირიის ხომსის პროვინციის აღმოსავლეთში. ისინი ასევე ცდილობდნენ შეჭრილიყვნენ ხავატიმას დასახლებულ პუნქტში, საიდანაც შეუძლიათ კვლავ დაიმუქრონ პალმირას ხელში ჩაგდებით.

**აშშ-ის ეროვნული დაზვერვის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი ვერ გაუსწორდება ტერორისტებს ახლო აღმოსავლეთში ერთპიროვნულად**

ჯეიმს კლეპერის აზრით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა დატოვოს ახლო აღმოსავლეთის რეგიონი, მაგრამ დახმარების გარეშე ისინი პრობლემებს ვერ გაუსწორდებიან. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ერაყის ქალაქი მოსული გათავისუფლდება ისლამური სახელმწიფოს ბოევიკებისგან, მაგრამ ეს მოხდება არა პრეზიდენტ ბარაკ ობამას დროს.

**ელისაბედ მეორემ განაცხადა ჩინელი ჩინოვნიკების უხეშობის შესახებ, როდესაც განიხილავდა სი ცზინპინის ვიზიტს ბრიტანეთში 2015 წელს**

თავისი უკმაყოფილება დედოფალმა გამოხატა ლონდონის პოლიციის მეთაურთან ლიუსი ო' დრესისთან საუბარში, მიღების დროს ბაღში ბუკინგემის სასახლის მახლობლად. ელისაბედ მეორეს თან ახლდა მისი ოფიციალური ოპერატორი, რომელმაც გადაიღო საუბარი. დედოფალმა განაცხადა, რომ ჩინეთის ოფიციალური პირები იყვნენ მეტად უხეშები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პირველ ბრიტანელ ელჩ ქალბატონთან.

**პოროშენკომ დიდ ბრიტანეთში ქვეყანაში უწესრიგობის გამო ვიზიტი გადადო**



მაგრამ, კერძოდ, რა დროით გადაიდო ვიზიტი არ ზუსტდება. მიზეზებად მიუთითებენ სიტუაციას, რომელიც შეიქმნა უკრაინაში ქვეყნის ახალი გენერალური პროკურორის არჩევნებთან დაკავშირებით და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობისათვის კანონების მიღების პრობლემების გამო.

**ბრაზილიის პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოწინააღმდეგეებმა გზები გადაკეტეს და მოაწყვეს საპროტესტო აქციები 16 შტატში**




„იქ შეიძლება თქვან, რომ გზების გადაკეტვა — ეს ძალადობაა. მაგრამ ეს არ არის ძალადობა იმასთან შედარებით, რასაც ამჟამად აკეთებენ ბრაზილიის კონსტიტუციასთან დაკავშირებით. გააგრძელო იმპიჩმენტის პროცესი, როდესაც ამისათვის არ გაგაჩნია არანაირი სამართლებრივი საფუძვლები, — ეს უდიდესი ძალადობაა“, — განაცხადა სახალხო მოძრაობათა ცენტრის კოორდინატორმა.

**პიოტრ პოროშენკომ ნადეჟდა სავჩენკოს დაბადების დღე მიულოცა**

„გულითადად ვულოცავთ დაბადების დღეს ჩვენს ნადეჟდას, აგრესორზე გამარჯვების რწმენის სიმბოლოს! ვაკეთებ ყველაფერ შესაძლებელს, რათა პირადად მივულოცო უკრაინელ გმირს მშობლიურ მიწაზე“, — დაწერა უკრაინის პრეზიდენტმა ფეისბუქში. მფრინავი რუსეთის ციხეში აღნიშნავს თავის 35-ე დაბადების დღეს.

**ხაკერებმა აშშ-ის კონგრესის კომპიუტერულ სისტემას შეუტიეს**



ბოროტმოქმედები ცდილობენ, მოხვდნენ კონგრესის კომპიუტერულ სისტემაში, დააფიქსირონ კომპიუტერების შინაარსი და მოითხოვონ ფულის გადახდა დაბლოკილ ფურცლებზე შეღწევის გახსნისათვის. ხაკერებმა თანამშრომლებს წერილები გაუგზავნეს ნაცნობების სახელით და სთავაზობდნენ, დატვირთონ მავნებელი პროგრამული უზრუნველყოფა.

## სამარადისო ნათელი

# ტარიელ რეხვიაშვილის პორტრეტისათვის

**ტარიელ რეხვიაშვილი** მოულოდნელად გამოჩნდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თავანზე და ბევრი სული გაანათა, გაათბო, სამომავლო იმედი ჩაუსახა და წინ ვრცელი სამოქმედო ასპარეზი გადაუშალა.



ნათელი და მკაფიო ინდივიდუალურობით გამოირჩეოდა მისი აზროვნება, მისი დამოკიდებულება პრობლემატური საკითხების განხილვა-გაანალიზებისას, სტუდენტებთან, მაგისტრანტებთან თუ დოქტორანტებთან კონსულტაცია-საუბრისას.

მაძიებელი, მკვლევარი და მდიდარ გამოცდილებას ნაზიარები ბატონი ტარიელი გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული. როგორც გამორჩეული აზროვნების მქონე ახალგაზრდას, თავიდანვე მიაპყრო ყურადღება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ, სადაც ის მალევე ჩაირიცხა ასპირანტურაში.

გამორჩეული კვლევის უნარით დაჯილდოებულმა მეცნიერმა 1975 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1991 წელს — სადოქტორო დისერტაცია.

ბატონი ტარიელი დღემდე მოღვაწეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სრული პროფესორის რანგში.

სწორედ ამ პერიოდში გამოვლინდა ტ. რეხვიაშვილის პედაგოგიური ალღო და ნიჭი, როგორც გამორჩეული მკვლევარისა, რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორისა თუ თანაავტორისა.

მეტად საყურადღებოა, რომ მნიშვნელოვან საერთაშორისო კონფერენციებზე გამოსვლისას ის მუდამ გამოირჩეოდა საინტერესო მიდგომებით, ორიგინალურობით, შეიძლება ითქვას, ლამაზი საჭადრაკო ეტიუდების მომხიბვლელობითაც.

უაღრესად კეთილშობილი პიროვნება გახლდათ. ყველა უყვარდა და ყველა თავისიანად მიაჩნდა. მისმა სიკვდილმა კი მკაფიოდ გამოაჩინა - უფრო ძლიერ გვყვარებია, ვიდრე ვფიქრობდით. გაცხადდა ერთი გერმანელის ნასიბრძნი: „ვინც ჩვენ გვიყვარს რომ არ კვდებოდეს, თვით სიყვარული მოკვდებოდა მაშინ!“

ტარიელ რეხვიაშვილი ფრიად თავმდაბალი პიროვნება იყო, ამბიციურობასა და ყოყოჩობას მოკლებული. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი დიდსულოვნება და მიმტევებლობა, გულისხმიერება და მადლმოსილება. ბრძენ სულხან-საბა ორბელიანს აქვს ასეთი საგულისხმო განმარტება: „მადლი — ესე არს, რომელმან არცა ნაცვლისგებისათვის, არცა მოყუარებისათვის, არცა შიშისთვის, არცა სიყვარულისთვის კეთილი და ქველი საქმე ჰყოს!“ დასტურ ასეა.

ბატონი ტარიელი მოვიდა თავისი სიკეთითა და სათნოებით, ოღონდ არსად წასულა - მისი ნათელი სახე და საქმე დარჩა, ჩვენში შეგუბდა, გულს გვიმზიანებს სამოქმედოდ, ახალ-ახალ სიკეთეთა ჩასადენად გვაქეზებს.

**არჩილ ფრანგიშვილი, ლევან კლიმიაშვილი, რუსუდან ქუთათელაძე, იგორ კვესელავა, ვანო ჭიაურელი, რაულ ღიბრაძე, მურად შონია, გურამ გვენეტაძე, ზურაბ ხასაია, არსენ ბურჯალიანი, კოკა კუტუბიძე, როზა გაფრინდაშვილი, სალომე ხიზანიშვილი, ირმა კეცხოველი, ედიშერ გვენეტაძე.**

## მაღლა, სულ მაღლა!

# როგორი იქნება მომავლის თვითმფრინავი?

**ბრიტანეთის დიზაინის ბიურომ** Seymourpowell **წარმოადგინა კაბინა** — First Spaces Airbus A380 **თვითმფრინავისთვის. კაბინა შედგება ორი 2-ადგილიანი და ოთხი 1-ადგილიანი სექტორებისგან. ყოველ სექტორში არის გასაშლელი დივანი, კარადა, მაგიდა, პლაზმური ეკრანი და პლანშეტი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება სასმელების და საჭმლის შეკვეთა. ეს კონცეპტი წარმოდგენილი იქნა ჰამბურგში,** Aircraft 6nteriors Expo-**ს პილოტების კაბინის აღჭურვილობისა და სალონის დიზაინის ჩვენებაზე.**

**„აირბასის“განსაკუთრებული განათება** Airspace A330neo-**სთვის**

„აირბასმა“ Aircraft6nteriorsExpo-ზე წარმოადგინა A330neo-ს სალონის მაკეტი, პროგრამირებადი შუქდიოდური განათებით.



ამერიკულმა კომპანიამ „თეილს“ ჩვენებაზე წარადგინა მსოფლიოში ყველაზე დიდი ზომის ეკრანი, „ინფოტეიმენტის სისტემის“ მხარდაჭერით, რომელიც ჩამონტაჟებულია მგზავრის სავარძელში. ეკრანის დიაგონალი შეიძლება იყოს 22-დან 26 დიუმამდე სიგრძის.

**სავარძელი — კაპსულები ძილისთვის**

კიდევ ერთმა ამერიკულმა დიზაინ-სტუდიამ FormationDesign პრეზენტაცია მიუძღვნა ინოვაციურ სავარძლებსა და სპეციალურ კაპსულებს ძილისთვის. სავარძლები იშლება და გადაიქცევა მოსახერხებელ საწოლად. ერთი სავარძელი კი, ე.წ. „სუპერტახტი“, გარდაიქმნება კაპსულად, რომელიც განკუთვნილია ძილისთვის და რომელიც იხურება. ეს „სუპერტახტი“ განლაგებული იქნება სხვა ავეჯთან შედარებით, მაღლა.

**საბარგულის განათებული სახურავი.**

კომპანიამ Diehl Aerospace წარმოადგინა განათების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოძრავი გამოსახულებების ჩვენებას საბარგულის სექტორის კედლებსა და სახურავზე.

**განათების ინოვაციური სისტემა „ვუი“**

კომპანიამ B/E Aerospace წარმოადგინა განათების ინოვაციური სისტემა „ვუი“, რომელიც, როგორც შემქმნელები ირწმუნებიან: — „გვთავაზობს უსაზღვროდ მრავალფეროვან პალიტრას, დეტალებს, დროში წყვეტის ეფექტებს“ და მისი დამონტაჟება შესაძლებელია ნებისმიერ სალონში. ამჟამად ამ სისტემით აღიჭურვება სხვადასხვა ავიაკომპანიის 105 თვითმფრინავი, მაგალითად — British Airways, Emirates, American Airlines, Japan Air Lines.

# პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნა

**გავრცელებული** ინფორმაციით, ღამით გურჯაანში საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ავტოსაგზაო შემთხვევის დეტალებს არკვევდნენ, რა დროსაც მათთან ავტომანქანით, შეიარაღებული ახალგაზრდა მივიდა და ცეცხლსასროლი იარაღიდან ჰაერში რამდენჯერმე გაისროლა, რის შემდეგაც ადგილიდან მიიმალა. შემთხვევის შედეგად, არავინ დაშავებულა.

სსკ 353-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილი სამსახურებრივი საქმიანობის დროს პოლიციელის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის ჯანმრთელობის ხელყოფას გულისხმობს და დანაშაული შვიდიდან თერთმეტ წლადე პატიმრობას ითვალისწინებს.

# თერთმეტი წლით პატიმრობა მიუსაჯეს

**ბათუმის** საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული რევაზ ნადირაძე დამნაშავედ სცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ 2015 წლის 15 აგვისტოს, დაახლოებით 02:15 საათზე, ქ. ქობულეთში, კაფე-ბარ „ტროპიკანკას“ მიმდებარე ზღვის სანაპიროზე რევაზ ნადირაძეს შელაპარაკება მოუვიდა გიორგი ნინიკურთან, რასაც მათ შორის ჩხუბი მოჰყვა. ჩხუბის დროს რევაზ ნადირაძემ შურისძიების მოტივით, განზრახ მკვლელობის მიზნით გიორგი ნინიკურს ზურგისა და გულმკერდის არეში 8-ჯერ დაარტყა დანა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიუხედავად გაწეული სამედიცინო დახმარებისა, სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებების შედეგად გიორგი ნინიკური გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა რევაზ ნადირაძე დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს ბრალდებულის სახით.

მოსამართლემ რევაზ ნადირაძეს ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის სახედ და ზომად 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

⊙ დედაქალაქი

# სხვაზეც იქნებ იფიქროთ, პატივცემულებო!..

**თბილისში მანქანების მოჭარბებასა და, ზოგადად, ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებით იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ გამეორებას აზრი არა აქვს.**

იმის მიუხედავად, რომ პოლიციის საპატრულო სამსახურის თანამშრომლები დედაქალაქის ქუჩებში სამანქანო მოძრაობის წესების დაცვას ყველასგან მკაცრად მოითხოვენ, უწესო მძღოლთა ოდენობას კლება არა აქვს.

ანბანური ჭეშმარიტებაა: ნებისმიერმა მოქალაქემ (იმისდა მიუხედავად, ფეხით მოძრაობს იგი თუ ავტომანქანით) გზა უნდა დაუთმოს სწრაფი რეაგირების, უწინარესად კი სასწრაფო სამედიცინო სამსახურის, სახანძრო და პოლიციის ტრანსპორტს.




მრავალი მძღოლი საგზაო მოძრაობის წესებს მაინც არად მიიჩნევს, თავის ნებაზე დადის, რითაც, ხშირ შემთხვევაში, ბევრ მასავით ავტომანქანით საჭესთან მჯდომს თუ ფეხით მოსიარულეს საფრთხეს უქმნის.




სწორედ ასეთი დაუდევრობის გამო მოხდა გუშინ, 11 მაისს, შუადღის 11.30 საათზე მეტროს სადგურ „სარაჯიშვილის" მახლობლად №158 სამარშრუტო ტაქსისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის შეჯახება, რომლის დროსაც მედმუშაკი დაზარალდა.

ყოველი ზრდასრული ადამიანისთვის ჭკუის დარიგება, ცოტა არ იყოს, არაკადრისია, მაგრამ, თავს უფლებას მივცემთ და მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ: **ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენს შინ მისატან სარჩოს ვინმეს ჯანრთელობა ანდა, სულაც, სიცოცხლე შეიძლება შეეწიროს!**

**ოთარ ტურაბელიძე**

# რა უფრო მეტადაა – ყვლეფა თუ შეღავათი?

**სტატისტიკური მონაცემებით ბოლო დროს მთელ რიგ სააფთიაქო ქსელში წამლების ფასმა დაახლოებით 23 პროცენტით დაიკლო.**

ეს უდავოდ საგრძნობი შეღავათია მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც მედიკამენტებს რეგულარულად მოიხმარს. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი, განსაკუთრებით კი მცირე ფარმაცევტული კომპანია, სამკურნალო საშუალებებს ფასს არა თუ არ აკლებს, სხვებზე გაცილებითაც ძვირად ყიდის და, ბევრისგან განსხვავებით, ფასდაკლების დღეებიც არა აქვს, როგორც ეს, ვთქვათ, „ფარმადეპოში", „ავერსში", სხვებთანაა დაწესებული.

ისიც ფაქტია, რომ ფასდაკლების აქციები ბევრ საკმაოდ ძვირად ღირებულ პრეპარატზე არ ვრცელდება, იაფფასიანებზე კი მცირედი შეღავათი, ფაქტობრივად, არ იგრძნობა.

ამიტომაც, ვფიქრობთ, ამ გარემოების მიმართ პროტესტის გამოხატვად უნდა მივიჩნიოთ რამდენიმე დღის წინათ ლეონიძის ქუჩის №9-ში PSP-ს აფთიაქის ფანჯრის ქვეშ ვიღაც გამწარებული მომხმარებლის მიერ ზეთის საღებავით გაკეთებული წარწერა „ქურდებო! თ.თ.".

რამდენად შეესაბამება ეს მძიმე ბრალდება ჩვენში მოქმედი ფარმაცევტული კომპანიების მოღვაწეობას, ეს თავად მკითხველმა განსაჯოს.

**ნინო ალექსანდრია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**




⊙ კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

**● ზაზა ხატიაშვილმა „რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ მას აქვს უფლება მიიღოს ცრუ ინფორმაცია, თუნდაც „რუსთავი-2"-იდან.**

**კი ბატონო. ზაზა ხატიაშვილს აქვს უფლება უყუროს პორნოგრაფიას, უყუროს ძალადობის სცენებს, უყუროს იმას, რაც უნდა. შეუძლია იკითხოს ზაზა ბურჭულაძის „ლექსები", მაგრამ ეს უნდა იყოს შეზღუდული მოსახლეობისთვის.**

**პორნოგრაფია, ცრუ ინფორმაცია დ.ა.შ. არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველასთვის და თუ რატომ უნდა იყოს ეს შეზღუდვა, მან, როგორც იურისტმა, უნდა იცოდეს!!!**




**● ვაშაძე, მოი შე გაჭირებულო! მოი!**

**ჭადის ფქვილს გაგატან, ცოტა კიტრს, მწვანილს, მჟავეც იქნება. ათ ცალ კვერცხსაც ჩაგიწყობ.. ნახევარ ლიტრა არაყს ჩაგახუტებ, ოღონდ მარტომ არ დალიო, არმაზსაც შეახვედრე ერთი ასი გრამი (მაგას მეტი არ უნდა).**

**● მე მგონი, არაფერიც არ მეჩვენება,თამარ კორძაია ჩიორა თაქთაქიშვილს წააგავს!**

**ხომ გაგიგონიათ?**
**ხარი-ხარს, რესპი-ნაცს**
**ნირშიც და ზნეშიც ჰგავს,**
**თამრიკო ჩიორას**
**უდავოდ ჩამოჰგავს!**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

**რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.**
**„საქართველოს რესპუბლიკაში" 29 3-37-87**

⊙ ცინცხალი ანეკდოტები

**მიხო** ეკითხება მასწავლებელს:

— მასწ, ხომ არ შეიძლება ადამიანის იმის გამო დასჯა, რაც არ გაუკეთებია?

— რა თქმა უნდა, არა, ჩემო მიხო!

— ძალიან კარგი. მე საშინაო დავალება არ გამიკეთებია...

* * *

**ცოლი** მეათე სართულზე ბინის აივნის ბორდიურზე დგას და გამწარებული უყვირის ქმარს:

— სიცოცხლე აღარ მინდა, აღარ შემიძლია შენთან ცხოვრება, შე ლოთო, შე უსაქმურო, შე მექალთანე... გადი აქედან და ხელს ნუ მკრავ!..

* * *

— **ადექი**, მარო, დროზე ადექი! სამსახურის დაწყებამდე 20 წუთიღა დარჩა!

— კი მაგრამ, მიხო, ადრე ვერ გამაღვიძე, ხომ იცი, 20 წუთი მარტო სახის დახატვაზე მინდა!

— ნუ გეშინია, გენაცვალე, სანამ ტკბილად გეძინა, ჩემი ხელით დაგხატეი, ჩემო მზეთუნახავო!..

* * *

**დედა** ეუბნება ქალიშვილის თაყვანისმცემელს:

— უკაცრავად, ახალგაზრდა, მანჩომ თქვა, სახლში არ ვარო.

— ჰო, გადაეცით, რომ მეც არ მოვსულვარ!

* * *

— **ჭიჭიკია**, ბიჭო, საერთოდ, როდესმე მაინც თუ გქონია ქალთან სერიოზული ურთიერთობა?

— რავა არა, შე კაცო! ხო გახსოვს, ერთხელ მაგის გულიზა 15 „სუტკაც" ქე მომცენ!..

* * *

**სამარშრუტო** ტაქსში:



— შვილო, ბაზართან გამიჩერე, რა!

— „ბაზარი" არ არის, ბაბუ!

— კი მაგრამ, რა იქნა, გუშინ ხომ იყო?!.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გამოიწერეთ:**
**6 თვით — 60 ლარი,**
**1 წლით — 120 ლარი.**

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე" – 2143906; „ელვასერვისი" – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე" – 2 988 990; „პრესა-2012" – 2341140; „ოლიმპი" – 599 15 19 69; „პრესა+" – 551555444; „ჯეომედია" – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.215; ევრო - 2.545;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.208;
100 რუბლი - 3.343; თურქული ლირა - 0.772;
აზერბაიჯანული მანათი - 1.473;
1000 სომხური დრამი - 5.628

**ამინდი 12 მაისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +8, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +4, | დღე +21 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +10, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +5, | დღე +21 |
| თბილისი: | ღამე +11, | დღე +23 |

**ჩვენი მისამართია:**
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE